გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№52 (947) 21 - 22 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ვერსია“ სოლიდარობას უცხადებს „ალიასა“ და „კვირის ქრონიკას“

სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური რევანში

„საპრეზიდენტო არჩევნებზეც კარგად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას ჩემი პოლიტიკური აქტივობის გარკვეული შიში აქვს. მათ კარგად იციან, რომ მოსახლეობაში ისეთი რეაქციის გამოწვევა შემიძლია, რომლის გათვლაც წინასწარ შეუძლებელია...“

გვ. 3

რატომ საყვედურობს „ქართული ოცნებას“, უწოდებს ნინო ბურჯანაძეს „უსამართლობის პრინცესას“ და არ გამორიცხავს არჩევნების გაყიდბებას საგარეო საქმეთა ექსმინისტრი

გაუხმაურებელი „ციხის სკანდალი“

რა კავშირი აქვს საბერძნეთში მყოფ კანონიერ ქურდებთან ციხის დეპარტამენტის ყოფილ მრჩეველს?!

გვ. 5

ლალი მოროშკინა თანამდებობიდან გაათავისუფლეს

რა უნდა გააკეთოს მთავრობამ სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად?

გვ. 7

მთავრობა სსიპ-ების ხელმძღვანელთა ხელფასებსა და პრემიებს განსაზღვრავს

პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურება 5%-ით იზრდება

არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციებს იწყებენ

რატომ გადადო პარლამენტმა უკანონო მოსმენების შესახებ კანონის განხილვა

სტომატოლოგიური კაბინეტების შემოწმება ერთი წლით გადავადდა?

გვ. 8

რეგულაციების გამკაცრების დადებითი და უარყოფითი შედეგები

ფული ბაბა, ფული!!!

გიორგი იაშვილი

მინისტრებისა და მისი მოადგილეების ხელფას-პრემიების გამოქვეყნების შემდეგ, ძლიერნი ამა ქვეყნისა თავისმართლების რეჟიმში გადავიდნენ. საინტერესო ისაა, რომ ყველა ერთხმად გაიძახის, ასეთი პრემიები არ უნდა რიგდებოდესო. ეს მაშინ, როცა გასული წლის განმავლობაში, თვიდან თვემდე ყველაზე კარგად თავად იცოდნენ, რამდენი ერიცხებოდათ სახელფასო ანგარიშზე. არადა, არ მახსოვს, 2013 წელს რომელიმე მინისტრს ან მის მოადგილეს ეთქვა, რას აკეთებთ, ეს ფული ჩვენ არ გვეკუთვნისო, ახლა კი, როცა ყველაფერი გამოაშკარავდა, ყველამ ხმა ამოიღო და სახელმწიფომ ერთიანი საპრემიო და სახელფასო სისტემის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. პრემიერ-მინისტრი ამბობს, ამ ყველაფერს თავი 30 ივნისამდე დაედგმებაო. როგორც ჩანს, ნოდარ ხადურს ეს ვადა არ მოეწონა და განაცხადა, ყველაფერი 31 ივნისს დასრულდებაო. არადა, კალენდარში 31 ივნისი არ გვაქვს (სულ ტყუილად, არა, ნოდარ?!). სამაგიეროდ, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ სისტემის მიღება-ჩამოყალიბების შემდეგ, ბევრი არაფერი შეიცვლება და თუ შეიცვლება, მინისტრთა ჯამაგირი თვეში მაინც იმდენი იქნება, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები წლიურად რომ ვერ იღებენ.

ხადურმა სხვა საინტერესო განცხადებაც გააკეთა: **„როცა ადამიანს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა ჰქონდესო“.** აბა, რა უფლება მაქვს, ბატონ ხადურს არ დავუჯერო, მაგრამ ამ ხელფას-პრემიებს რომ ჩავხედე, გაირკვა — ირაკლი ალასანიას ერთ-ერთი სახელფასო დანამატი საიდუმლოს შენახვისთვის აქვს გამოწერილი და თვეში 531 ლარია. გამოდის, ალასანიას უწყების პასუხისმგებლობაცა და საიდუმლოც 531 ლარად ფასობს. ახლა არ მითხრათ, თავდაცვის უწყებაზე მეტი საიდუმლო აქვს ფინანსთა ან სოფლის მეურნეობის სამინისტროებსო. შესაბამისად, დასამალი არც არაფერია, საპასუხისმგებლოც არაფერი ყოფილა და იმავე ხადურს თუ დავესესხებით (ფინანსთა მინისტრს რომ დაესესხები, როგორია?!), მინისტრები დაახლოებით იმდენ ჯამაგირს უნდა იღებდნენ, რამდენსაც სკოლის პედაგოგები.

გაგიკვირდებათ, დარიცხული პრემიები სოფლის მეურნეობის მინისტრს, შალვა ფიფიასაც არ მოსწონს, აცხადებს, ანაზღაურება არაადეკვატურიაო. ბატონ შალვასაც იგივეს ვკითხავ — წინა თვეებში ბარათიდან „არაადეკვატურ თანხას“ რომ ხსნიდა, რატომ არ ამბობდა, რას აკეთებთ, ეს არ დამიმსახურებიაო?! ეს იმიტომ, რომ (რადგან სოფლის მეურნეობაზე ვსაუბრობთ) ქათამი კაკანს მანამ არ იწყებს, სანამ კვერცხი არ მოადგება. კვერცხი კი, ჩვენს ხელისუფლებას ახლა მოადგა.

ამომრჩეველს აინტერესებს, ამ საპრემიო სისტემის ჩამოყალიბება არჩევნების შემდეგ რატომ მოხდება. კითხვა ლოგიკურ-ლეგიტიმურია და სავარაუდოდ, მასზე პასუხს არ გვაღირსებენ. ჩვენი ვერსიით, ახალი სისტემა ძველისგან დიდად განსხვავებული არ იქნება (დიდი დიდი, ალასანიას საიდუმლოს სარგომ დაიწიოს 31 ლარით) და ამომრჩევლის გაღიზიანებას კიდევ ყველა ერიდება.

არჩევნების თემას ისე მივადექით, ვერც კი შევნიშნეთ, მაგრამ, როცა ფულს ახსენებ, გინდა თუ არა, არჩევნებამდე მიდიხარ. ჩვენი ინფორმაციით, საპარლამენტო ოპოზიცია რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის სახით, ბერკეტის დათმობას არ აპირებს და ამ არჩევნებზე დიდ ფულსაც დახარჯავს. ეს რეგიონებში ნაციონალური მოძრაობის ოფისებსაც ეტყობა და ზოგადად, მათ მოქმედებასაც. ამის პარალელურად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს თავი არხეინად უჭირავთ და სულო ცოდვილო, ისევ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით აპირებენ ფონს გასვლას. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის, რომ სააგიტაციო ბუკლეტებთან ერთად, ხელისუფლება იმ დისკებს არიგებს, რომლებშიც ივანიშვილის ცხოვრებაა მოკლედ აღწერილი. თუ ეს დისკები წინა არჩევნებიდან შემორჩათ, არ ვიცი და, თუ ახლა ჩაწერეს, ოლოლო ხელისუფლებას — ივანიშვილი გაიძახის, პოლიტიკაში აღარ ვერევიო და ამომრჩეველს ისევ მის ცხოვრებას სჩრიან ხელებში.

დასასრულ — ერთადერთი მინისტრი, რომელიც ხელფასის მატებასა თუ კლებას ყურადღებას არ აქცევს, კახა კალაძეა. თავიდანვე თქვა, რომ მისი შემოსავალი ქველმოქმედებას ხმარდება და რეალურად, არც კი იცის, რა თანხა ერიცხება. ამის გამგონე ნოდარ ხადურს უთქვამს, თავის დროზე ფეხბურთს რომ გავყოლოდი, ეგებ „მილანში“ მეც მეთამაშა და ხელფასზე მეც არ მეზრუნაო, მაგრამ ფეხბურთს კი არა, კაცი კალენდრის დღეებს ვერ მიჰყვება და...

P.S. ბარემ სოზარ სუბარისაც ვთქვათ. სასჯელაღსრულების ხელმძღვანელი გაიძახის, პრემიერ-მინისტრს სამჯერ მივმართე გადადგომის თხოვნით და ერთხელაც არ გამიშვესო. როგორც ჩანს, სოზარმა ის ანდაზა არ იცის, „ძაღლს ვინც მოკლავს, იმან უნდა გადაათრიოს“ და ციხეებში არეული ვითარებაც მისი დასალაგებელია.

„სატელევიზიო რეკლამა დისკრიმინაციულად ნაწილდება“

არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ნაწილის აზრით, სატელევიზიო რეკლამა დისკრიმინაციულად ნაწილდება. საკითხთან დაკავშირებით, ოპოზიციურმა პარტიებმა საგანგებო განცხადება გაავრცელეს: **„საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 26-ე მუხლებით საქართველოში გამოცხადებულია ყველა მოქალაქისა და ყველა პოლიტიკური გაერთიანების თანასწორობა. ასევე იკრძალება რაიმე სახის დისკრიმინაციული მიდგომის გამოვლინება. მიუხედავად ასეთი ფუძემდებლური იმპერატივისა, კონსტიტუციურ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ კანონდება პოლიტიკურ პარტიათა შორის დისკრიმინაციული და არათანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, 12-12 მლნ ლარის უფასო საარჩევნო რეკლამით მხოლოდ 3 სუბიექტი „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა სარგებლობს, რაც დისკრიმინაციაა დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტების მიმართ. გარდა ამისა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ„ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულია საარჩევნო რეკლამის ხარჯების დასაფარად დამატებითი ფინანსების გამოყოფა იმ პარტიებისთვის, რომლებსაც ბოლო საერთო არჩევნების შემდეგ წარმოეშვათ დაფინანსების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობას აკმაყოფილებს 7 კვალიფიციური და 4 არაკვალიფიციური სუბიექტი, რომლებსაც უკანასკნელი არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით გამოეყო საბაზო დაფინანსების ნახევარი (ერთჯერადი დაფინანსების სახით), კანონის ამ ნორმის საფუძველზე ფინანსდება მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. თითოეული – 600 000 ლარით. საარჩევნო სუბიექტებს შორის მედია თანაბრობის საკითხში დისკრიმინაციულ მიდგომებზეა საუბარი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს დასკვნაში. ეუთო-ს რეკომენდაციით, არსებული საკანონმდებლო სტრუქტურა, „კვალიფიციური“ კანდიდატებისთვის უფასო საეთერო დროის გადანაწილებაზე უნდა გადაიხედოს. დამატებით, იმისთვის, რომ ყველა კანდიდატს თავიანთი მესიჯების თავისუფლად გადაცემის შესაძლებლობა ჰქონდეს და შეიქმნას თანასწორუფლებიანი გარემო, უზრუნველყოფილი უნდა იყოს „არაკვალიფიციური“ კანდიდატებისთვის მინიმალური საეთერო დროის დაწესება.**

უფასო რეკლამის გამოყოფის წესთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოში შესულია არასაპარლამენტო ოპოზიციის საჩივარი, მაგრამ სასამართლო ხელოვნურად აჭიანურებს საჩივრის განხილვას. სამწუხაროა, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს მცდელობა, გააგრძელოს წინამორბედის ტრადიცია, როცა არჩევნების შედეგები წინასწარ იწერებოდა. ამჟამადაც, ხელისუფლების სურვილია „კოაბიტირებულ“ ძალებთან ერთად განახორციელოს წინასწარ დაწერილი სცენარი, რომლის მიხედვით არჩევნებში ხმების უმრავლესობა უნდა მიიღოს „ქართულმა ოცნებამ“, ხოლო დანარჩენი პროცენტები გადაინაწილონ ნაციონალურმა მოძრაობამ და ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ. ამის შემდეგ „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“ ერთმანეთს მიულოცავენ მორიგი „დემოკრატიული“ არჩევნების ჩატარებას.

სატელევიზიო რეკლამების განაწილების არსებული წესი წარმოადგენს პოლიტიკურ დისკრიმინაციას. შედეგად იქმნება არათანაბარი საარჩევნო გარემო, სადაც მთავარ როლს თამაშობს ფინანსები, რაც ეჭვქვეშ აყენებს არჩევნების ლეგიტიმურობას და ქმნის ოლიგარქიული წყობის მკაფიო კონტურებს.

სამართლიანი იქნება, თუ უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის დრო პარიტეტულად განაწილდება ყველა რეგისტირებულ საარჩევნო სუბიექტს შორის; საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის საფუძველზე, უკანასკნელი კვლევების მიხედვით გამოვლენილ რეიტინგულ კანდიდატებს უნდა მიენიჭოს უფასო სარეკლამო დროით სარგებლობის უფლება; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სარეკლამო ხარჯებისთვის დაფინანსება გამოეყოს ყველა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ პარტიას, რომლებმაც უკანასკნელი არჩევნების შედეგების გათვალისწინებით მიიღეს დაფინანსება“.

ოპოზიციური პარტიების განცხადებას, ხელს აწერენ არასაპარლამენტო ოპოზიცია, ერთიანობის დარბაზი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, „თავისუფლება — ზვიად გამსახურდიას გზა“, ლეიბორისტული პარტია, პატრიოტთა ალიანსი, „რეფორმატორები“, სახალხო პარტია, ქართული პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, „ჩვენი საქართველო“ და ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

საია-მ წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა

არასამთავრობო ორგანიზაციის დასკვნაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეფარდების 18, სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების 9 და სისხლის სამართლებრივი დევნის 7 შემთხვევა მოხვდა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშში ასევე საკანონმდებლო ცვლილებების დადებით და უარყოფით მხარეებზეცაა საუბარი.

„კანონმდებლობის კუთხით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ გვაქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის თამაშის წესები მისაღები იყოს. რაც შეეხება სააგიტაციო პროცესს, აპრილში დაფიქსირდა პრობლემები ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში“, — განაცხადა საია-ს საარჩევნო პროექტების კოორდინატორმა ლელა ტალიურმა.

არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია გამოეხმაურა. მისი თქმით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით გარემო რადიკალურად გაუმჯობესებულია: **„ძალიან კარგია, რომ ადმინისტრაციულ რესურსთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული და ამაზეც ალბათ, შესაბამისი რეაგირება იქნება. ყველაფერი კეთდება, რათა ხელისუფლებამ შექმნას გარემო, სადაც ყველა კონკურენტს თანაბარი შესაძლებლობა ექნება“.**

„პირველი“

პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება გარკვეულ შემთხვევაში დასაშვები გახდება

პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვები ხდება, თუ იგი დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესაძლო ჩადენასთან, ან არსებობს ძალადობის შემდგომი განმეორების საშიშროება. ასეთი ინფორმაცია მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიეწოდება, პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის. ცვლილება იმ საკანონმდებლო პაკეტის ნაწილია, რომელიც მიზნად ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას ისახავს. ცვლილებები „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონში, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და „პოლიციის შესახებ“ კანონში შედის. პაკეტი პარლამენტს განსახილველად დეპუტატმა გუგული მაღრაძემ წარუდგინა.

„ინტერპრესნიუსი“

სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური რევანში

ᲔᲓᲘᲗ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

წინასაარჩევნო კამპანიაში ყოფილი პარტია „საქართველოს გზის“ აქტიური მხარდამჭერის სტატუსით ჩაერთო. თბილისსა და რეგიონებში მერობის კანდიდატებიც უკვე დაასახელა, თუმცა თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს წინასწარ ეჭვქვეშ აყენებს. ამბობს, რომ ხელისუფლებამ არჩევნების გასაყალბებლად ნაციონალური მოძრაობისგან მიღებული მემკვიდრეობა სრულად შეინარჩუნა. „ვერსიასთან“ საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი წინასაარჩევნო გარემოსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.

რატომ საყვედურობს „ქართული ოცნებას“, უწოდებს ნინო ბურჯანაძეს „უსამართლობის პრინცესას“ და არ გამორიცხავს არჩევნების გაყალბებას საგარეო საქმეთა ექსმინისტრი

— დღეს ქვეყანაში სამი პარტია დომინირებს, რომელთაგან ერთ-ერთს სახელმწიფოსგან მოპარული ფული აქვს, მეორე ფქვილის გაყიდვით გამდიდრდა, მესამეს კი ოლიგარქი ეხმარება და ადმინისტრაციული რესურსიც საკმარისად გააჩნია. ამ ფონზე, ქართული პოლიტიკაც არაპროგნოზირებადი გახდა. პოლიტიკური გარიგებებითა და ფარული თამაშებით ხალხიც გადაღლილია. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ არჩევნების გასაყალბებლად ნაციონალური მოძრაობისგან მემკვიდრეობით მიღებული ბერკეტები სრულად შეინარჩუნა — საკმარისია, ვინმემ უბრალოდ ინებოს და არჩევნებს ისევ მარტივად გააყალბებენ.

— ყოფილ პარტიას წინასაარჩევნოდ აქტიურად უჭერთ მხარს, კანდიდატებიც თბილისსა და რეგიონებში თავად დაასახელეთ. წაგებულ ომში საბრძოლველად რატომ მიდიხართ?

— საპრეზიდენტო არჩევნებზეც კარგად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას ჩემი პოლიტიკური აქტივობის გარკვეული შიში აქვს. მათ კარგად იციან, რომ მოსახლეობაში ისეთი რეაქციის გამოწვევა შემიძლია, რომლის გათვლაც წინასწარ შეუძლებელია. ეს წლების წინ, იპოდრომის აქციამაც დაადასტურა. არ ვამბობ, რომ არჩევნები აუცილებლად გაყალბდება, მაგრამ არც არაფერს გამოვრიცხავ. სხვას რას ველოდო ადამიანებისგან, რომლებისთვისაც ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილი სისტემის დანგრევა ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა ქცეულიყო და ასე არ მოხდა?!

— კოალიციაში აცხადებენ, რომ ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ ამის დრო ახლა არაა. ეს ძალაუფლების შესანარჩუნებლად ბრძოლაა?

— დასკვნებს არ ვაკეთებ, მხოლოდ კითხვებს ვსვამ და მაინტერესებს, სად გაქრა მათი პოლიტიკური პრინციპები? რეალურ პრობლემებზე საუბრის ნაცვლად, ქვეყანაში ხელოვნური პრობლემები იქმნება და საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება ირეალური საკითხების ირგვლივ ხდება.

— „ხელოვნურ პრობლემებში“ რას გულისხმობთ?

— მაგალითად, გეებზე საუბარი და თენგიზ კიტოვანის მსგავსი მარგინალური ჯგუფების გამოჩენა პრობლემების ხელოვნურად შექმნის ნაწილია. ცდილობენ, ირეალური საფრთხეებით შეგვაშინონ, რეალურ პრობლემებს კი ფარდა გადააფარონ. არადა, ამ ქვეყანაში ადამიანებს ყოველგვარი ორიენტაცია დაკარგული აქვთ და არავინ იცის, სინამდვილეში, საით მივდივართ. კონკრეტულ ფაქტებს დაგისახელებთ: ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი იზრდება, მოსახლეობა კი საქართველოს ინტენსიურად ტოვებს. ბოლო პერიოდში რეგიონებში საკმაოდ ხშირად დავდივარ და ვხედავ, სოფლები და ქალაქები, ფაქტობრივად, მოსახლეობისგან დაცლილია. იმედი მქონდა, საგანგაშო პროცესი 2012 წლის არჩევნების შემდეგ შეჩერდებოდა მაინც, მაგრამ სასიკეთო ამ კუთხით არაფერი მომხდარა. საქართველოში ჰაერითა და საკვებითაც ვიწამლებით. ჯერ კიდევ არ არსებობს სტანდარტი, რომელიც ასეთ საკითხებს დაარეგულირებს. ან, როცა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების რაოდენობა ყოველთვიურად მატულობს, რას აკეთებს სახელმწიფო? ვისაც შესაძლებლობა აქვს, სამკურნალოდ საზღვარგარეთ მიემგზავრება, ვისაც არა — საქართველოში იხოცება იმის გამო, რომ მთავრობამ ამ მიმართულებით კონკრეტული გადაწყვეტილება ვერ მიიღო. საერთოდ არ მაინტერესებს, რამდენი გეი დადის თბილისში, ლეიკემიით დაავადებულთა პრობლემა მადარდებს. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ იცის, ქვეყანა როგორ განვითარდეს.

— თუ თენგიზ კიტოვანის გამოჩენა და LGBT საზოგადოების წინააღმდეგ აქციები ხელისუფლების ინტერესშია, როდემდე შეძლებს „ქართული ოცნება“ ამ მეთოდით პრობლემების დამალვას?

> **— მითებს ყველა ის ძალა ქმნის, რომელსაც რეალური პრობლემების გადასაჭრელად ხედვა არ გააჩნია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელისუფლებას არ ვგულისხმობ. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე რომ ამბობს, სამართლიანობა უნდა აღდგესო, მან ეს როგორ უნდა მოახერხოს, როცა თავად უსამართლობის პრინცესა გახლდათ? ბუნებრივია, დამნაშავეთა მცირე წრე უნდა გასამართლდეს, მაგრამ ამის შემდეგ დიდი შერიგებაც აუცილებელია. თუ საზოგადოება სხვადასხვა ნაწილად დაიშლება, რუსეთის მონებად ჩავბარდებით, რაც ზოგიერთისთვის საკმაოდ კომფორტულია. „ქართული ოცნებისგან“ მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ლანძღვა არ კმარა, მოსახლეობას ქვეყნის განსავითარებლად ერთიანი ხედვის გაზიარება სჭირდება!**

— მომავლის ხედვაში მთავრობა ერთიანია?

— ხელისუფლებაში რა ხდება, არ მაინტერესებს. თუ საქმეს გააკეთებენ, აუცილებლად მოვუწონებ, მაგრამ ფაქტია, ირგვლივ მხოლოდ პრობლემებზე გადაფარებულ ფარდებს ვხედავთ. ჩვენი წინასაარჩევნო სლოგანი — ტყუილის გარეშე, სწორედ ამ მდგომარეობას აპროტესტებს. პრობლემები კი არ უნდა დავმალოთ, ერთობლივი ძალით მათ გადაჭრაზე უნდა ვიზრუნოთ. ამ დროს კი, ფუჭ ალიაქოთს გვთავაზობენ. ადამიანები, რომლებმაც ქვეყანაში ჭეშმარიტი ღირებულებები შექმნეს, ყველასგან მიგდებულნი და დავიწყებულნი არიან. კულტურულ ძეგლებსა და ისტორიულ მემკვიდრეობასაც ასე ვექცევით. „საქართველოს გზის“ თბილისის მერობის კანდიდატი მურაზ მურვანიძეც სწორედ ასეთი საქართველოს სიმბოლოა. მას სხვა ქვეყანაში უამრავი ჯილდო აქვს მიღებული და აფასებენ, სამშობლოში კი არავინ აღიარებს. იგივე შემიძლია საკუთარ თავზეც ვთქვა. საზღვარგარეთ უფრო მაფასებენ, ვიდრე ამ ქვეყანაში. არც ინვალიდები, უპატრონო ბავშვები და თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ხანშიშესული ადამიანები ახსოვს ვინმეს. აი, ეს უბედურება გვჭირს დღეს და, თუ მას არ მოვიცილებთ, დაკარგულ ღირსებას არ დავიბრუნებთ, ახალი ღირებულებების შექმნას ვერასოდეს შევძლებთ. რეალურად, ქვეყანას ორი არჩევანი აქვს: ან მივდივართ უკან საბჭოთა კავშირისკენ, ან წინ, ღირებულებებისკენ.

— ახლა ქვეყანაში სწორედ ის პროცესია, როცა რამდენიმე ღირებულება ებრძვის ერთმანეთს — ეკლესია, მართლმადიდებლობას ამოფარებული ძალები და ანტიდისკრიმინაციული კანონისმიმღები პარლამენტი...

— მეცინება, ვინ იცავს და გვკარნახობს დღეს რელიგიას. ყველაზე საშიში ისაა, რომ აბსოლუტურად გაუგებარ მდგომარეობაში ვართ, რომელშიც „ქართული ოცნება“ საზოგადოებას ამყოფებს. იქნებ გვითხრან, რა უნდათ და საით მიდიან?! თბილისის მერად მეურნეს ნიშნავენ მაშინ, როცა დედაქალაქს დაკარგული სახის აღდგენა სჭირდება. მერე ტირილი, არ ვიცოდი არჩევნებში ხმას ვის ვაძლევდიო, არ გვიშველის. თანაც ხელისუფლება მისთვის სასურველ გადაწყვეტილებებს მოსახლეობაზე ზეწოლით იღებს. მაშინ, როცა დარიალის ხეობის ჩამოშლის საკითხი ჯერ გამოძიებულიც კი არ იყო, მთავრობის წევრები წინასწარ ამტკიცებდნენ, ამ ტრაგედიასთან ჰესის მშენებლობა კავშირში არ არისო. იმის ნაცვლად, არგუმენტები შემოგვთავაზონ, გვემუქრებიან, ნახავთ რასაც მიიღებთო. რა არის ეს, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, საბჭოთა კავშირში ვართ?

— საბჭოთა კავშირის აღსადგენად რუსეთი დიდი ხანია ღია აგრესიას არ ერიდება. როგორც დიპლომატმა, შეაფასეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობა, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტს „გრაფინითა“ და პრინტერით ხვდება.

— დიპლომატობა წარსულში დავტოვე, ახლა „საქართველოს გზის“ მხარდამჭერის სტატუსი მაქვს, ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობას ვერ შევაფასებ. თუ ვინმემ არ იცის, უმაღლესი რანგის სტუმარი როგორ მიიღოს ან გააცილოს, ეს მისი სერიოზული პრობლემაა და პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს. ზოგადად კი, ის პირები, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების კუთხით მუშაობენ, რეალურად პრობლემის მომგვარებლები არ არიან. როგორც დიპლომატი, ბუნებრივია, დიალოგის მომხრე ვარ, მაგრამ გააჩნია მოლაპარაკებებს რა პირობებში ანარმოებ. თუ შენ ძლიერი არ ხარ, არ იცი სად მიდიხარ და რა გინდა, არც ზურგი და მხარდაჭერა გაქვს, ეს რუსეთმაც კარგად იცის და შესაბამისად, არაფერს დაგითმობს. პირიქით, გადაგივლის. ზოგადად, ძალთა შეფარდების იდეოლოგები რუსები არიან. ომსა თუ მოლაპარაკებებში შეტევაზე ისე არ გადავლენ, რომ მოწინააღმდეგის ძალთა შეფარდება წინასწარ დაწვრილებით არ შეისწავლონ. ხელისუფლებამ რუსეთი ვერ შეისწავლა, მის წინააღმდეგ ბერკეტი არ გააჩნია, ამიტომ საკმაოდ საშიშ გზას დავადექით.

— ცნობილი გახდა, რომ პუტინმა უკრაინიდან სამხედროების გამოყვანის ბრძანება გასცა. რამდენად მოსალოდნელია რუსი ჯარისკაცებისთვის დისლოკაციის მორიგი ადგილი საქართველო გახდეს?

— არ ვიცი, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიას რა ფორმით გამოავლენს. დიპლომატიურმა გამოცდილებამ კარგად დამანახა, რომ რუსეთი ყოველთვის ჩერდება იქ, სადაც მოწინააღმდეგის ძალას გრძნობს. ამ შემთხვევაში სამხედრო ძალას არ ვგულისხმობ, ბუნებრივია, ამ ფორმით რუსეთს ვერასოდეს დავამარცხებთ. ჩვენი მთავარი იარაღი სიმტკიცე და შინაგანი სიძლიერეა. თუ ამას ვერ მოვახერხებთ, საქართველოს დასაშლელად ერთი ნინო ბურჯანაძე და ლევან ვასაძეც ეყოფა.

— ლევან ვასაძე პარლამენტის დაშლითაც იმუქრება. რას შეცვლის მისი პოლიტიკურ ამბიციები ქართულ რეალობაში?

— ფაქტია, მას პოლიტიკური ამბიციები აქვს და საკმარისი ფულიც, რაც პოლიტიკაში მოსასვლელად მარტივი ინსტრუმენტია. მჯერა, ამ საკითხს საზოგადოება ჯანსაღად მიუდგება. ნამდვილად ვწუხვარ, რომ საქართველოში სიმტკიცე და შინაგანი ძლიერება არ არსებობს. არადა, წარსული გამოცდილებიდან გარკვეული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და კარგად განვსაზღვროთ, რა გვინდა. სანამ დაბნეულნი ვართ, საქართველო არამხოლოდ რუსეთის, სხვა მეზობლებისთვისაც საკმაოდ ადვილად ჩასაყლაპი მსხვერპლია.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ნატო-ს გენერალური მდივანი რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლას არ გამორიცხავს



ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატო თავის წევრ და მოკავშირე ქვეყნებთან ერთად მსგავსი საფრთხისთვის მზად უნდა იყოს: **„პროგნოზს ვაკეთებ გამოცდილებიდან გამომდინარე. ჩვენ ვართ მოწმე, რა ხერხები გამოიყენა რუსეთმა მეზობელ ქვეყნებზე, რომლებიც უახლოვდებიან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ჩვენ ეს ვნახეთ ვილნიუსის ნოემბრის სამიტზე. სწორედ ამიტომ, ჩემი შეფასებაა, რომ ვნახავთ იგივეს, რადგან საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესს ასრულებენ. რა თქმა უნდა, ზუსტად არ ვიცით, რა ინსტრუმენტები შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა. თუ წარსულს გავიხსენებთ, ეს შეიძლება იყოს გაზის ფასი, გაზის მიწოდება, სავაჭრო ურთიერთობები და შეზღუდვები. რუსეთის ამგვარმა ქმედებამ, შეიძლება დამატებითი დესტაბილიზაცია შექმნას და ამ ქვეყნებში გადაუჭრელი გაყინული კონფლიქტები გააღვივოს. მაგალითად, დნესტრისპირეთში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ჩვენ მხოლოდ წარმოდგენა შეგვიძლია, რა შეიძლება მოიმოქმედოს რუსეთის ფედერაციამ, როცა საქმე ეხება მცდელობას, ხელი შეუშალოს მეზობელი სახელმწიფოების ევროატლანტიკურ მისწრაფებებს“.**

„ინტერპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციებს იწყებენ

რატომ გადადო პარლამენტმა უკანონო მოსმენების შესახებ კანონის განხილვა და უქმნის თუ არა მის მიღებას უმრავლესობა ხელოვნურ ბარიერს

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული კანონპროექტის პირველი მოსმენა მომავალი კვირისთვის გადაიდო. კანონში ცვლილებების ინიციატორი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრი შალვა შავგულიძეა, ხოლო საქმე ცვლილებათა იმ ნანატრ პაკეტს ეხება, რომლის მიხედვით, საგამოძიებო ორგანოები ნებისმიერი ადამიანის ფარულ მიყურადებასა და თვალთვალს, სურვილისამებრ, ველარ შეძლებენ. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის განმარტებით, პარლამენტი მომავალ კვირაში მხოლოდ კენჭისყრით შემოიფარგლება, რადგან აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის ყველა ძირითადი საკითხი უკვე შეთანხმებულია. საარჩევნო ციებ-ცხელების გამო კანონპროექტის საგნობრივი განხილვა არჩევნებამდე ვერ მოესწრება, თუმცა, 15 ივნისამდე, როგორც მინიმუმ, პირველი მოსმენა უნდა შედგეს. ყოველ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება „ეს შენ გეხება“ და პარლამენტის ნაციონალური უმცირესობა ერთ აზრზეა — „მოსმენის“ კიდევ ერთხელ გადადება რთული პრობლემის მოგვარების გადადებადაა. ცალკე საკითხია, ნაციონალებს „ოცნების“ ხელისუფლების განსჯის მორალური უფლება რამდენად აქვთ, მით უმეტეს, ფარული თვალთვალისა და მიყურადების აღმოფხვრის საკითხში, თუმცა ფაქტია, აქტიურობენ და კოლეგა დეპუტატებს უპასუხისმგებლოებს უწოდებენ.

რაც შეეხება თავად ამ კანონპროექტს, ცვლილების შეტანას 5 კანონში ითვალისწინებს. ცვლილებების პაკეტს პარლამენტმა, კვორუმის არარსებობის გამო, პირველი მოსმენით კენჭი ვერ უყარა. საკვანძო საკითხზე შეუთანხმებლობის მიუხედავად, ცვლილების მხარდაჭერას ნაციონალებიც გეგმავდნენ. უმცირესობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები ერთმანეთს აქაც ემთხვევა — დავის მთავარი საგანი ისაა, ვის ექნება ე.წ. მართვის პულტი ანუ მთავარ სერვერებზე წვდომა, რითაც თვალთვალი და მიყურადება უნდა განხორციელდეს. ამ დილემიდან გამოსავლის საპოვნელად პარლამენტი ნახევარ წელს ითხოვს და სპეციალური კომისიის შექმნას გეგმავს, რომელიც 1 ნოემბრამდე იმუშავებს, მანამდე კი მიყურადების უფლებით, კვლავ შს სამინისტრო ისარგებლებს. კანონში შესატანი ცვლილებები ასეთია: განისაზღვრა იმ პირთა წრე, ვისაც შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მოუსმინონ. ეს ის ხალხია, ვისაც დანაშაულთან ან პირდაპირი კავშირი აქვს, ან მათ ეჭვმიტანილები საკომუნიკაციოდ იყენებენ. მიყურადება, სასამართლოს ნებართვის გარეშე, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაიწყება, თუმცა 24 საათში პროკურატურამ სასამართლოს მაინც უნდა მიმართოს. მიმართვიდან 24, ხოლო მოსმენის დაწყებიდან 48 საათში, თუკი სასამართლო მოსმენას უკანონოდ სცნობს, ჩანაწერი უნდა განადგურდეს! პირს, რომელსაც უსმენდნენ, ამის შესახებ უნდა ეცნობოს და გასაჩივრების უფლება მიეცეს. ამის თაობაზე გადაწყვეტილებას პროკურატურა იღებს. იმისთვის კი, რომ პროკურატურამ ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფლებები, 12 თვეში ერთხელ, სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, რატომაა სახიფათო ამა თუ იმ პირის ინფორმირება მისი მოსმენის შესახებ. აცნობებენ თუ არა პირს ამის შესახებ, სასამართლო გადაწყვეტს, რომელიც დაადგენს, გაგრძელდეს თუ არა შეტყობინების ვადა. განისაზღვრა მოპოვებული ინფორმაციის შენახვა-განადგურების ვადაც.

ცვლილებების ავტორის, შალვა შავგულიძის თქმით, პრობლემურ საკითხად მხოლოდ ე.წ. გასაღებისა თუ მართვის პულტის მფლობელი უწყების ვინაობა რჩება. განიხილება სამი ვარიანტი: პირველი — პულტი სამართალდამცავთა ხელში უნდა დარჩეს ისე, რომ მკაცრ კონტროლს დაექვემდებაროს; მეორე — შეიქმნას დამოუკიდებელი სააგენტო, რომელიც არც ერთ კონკრეტულ უწყებაზე არ იქნება მიბმული; მესამე — პულტი მობილურ ოპერატორ კომპანიებს გადაეცეს. ავტორისვე განმარტებით, მანამდე ისიც გასარკვევია, სახელმწიფოს ტექნოლოგიური კონტროლის რა შესაძლებლობები ექნება და ბიუჯეტი ამ ყველაფრის უზრუნველსაყოფად რა თანხას გაიღებს. როგორ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, შეუვალი რჩება საპარლამენტო უმცირესობა — ნოემბრამდე ფარული მიყურადების უფლებით შს სამინისტრო ისარგებლებს და თანაც, თუ ერთ წელში ვერ მოხერხდა ამ საკითხზე ჩამოყალიბება, 1 ნოემბრამდე რას მოასწრებენო?! **შალვა შავგულიძე** ნაციონალების სულისკვეთებას ასე ეხმაურება: **„სანამ საერთაშორისო ექსპერტები და ადგილობრივი ორგანიზაციები სამართალდამცავთა ხელში „მოსმენების გასაღების“ ფლობის ავ-კარგს შეაფასებენ, მარტო ოპოზიციური პოლიტიკური გუნდის თვალით ნუ შევხედავთ ამ თემას. როგორ შეიძლება იმის არდანახვა, რომ ამ თემის გადაწყვეტა ქვეყანას სჭირდება. შემოთავაზებულია საერთაშორისო სტანდარტები, როგორ რეგულირდება ეს საკითხი ცივილურ სამყაროში, ჩვენ კი, ამ თვალსაზრისით, ველური ქვეყანა ვიყავით!“** დაახლოებით ერთნაირი პოზიცია აქვთ საპარლამენტო უმრავლესობისა და „ოცნების“ მთავრობის წარმომადგენლებს. შს მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განმარტებით, ქვეყნისთვის უფრო დიდი საფრთხისშემცველი იქნება, თუ მოსმენის უფლებას კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიების ხელში დვტოვებთ. მისი თქმით, ამ კერძო კომპანიებიდან ინფორმაციის გაჟონვის საფრთხე უფრო მეტია, ვიდრე შს სამინისტროდან.

ვის უნდა ჰქონდეს წვდომა თვალთვალითა და მოსმენებით მოპოვებულ ინფორმაციაზე? რა საფრთხეებს შეიცავს მართვის პულტის შს სამინისტროში დატოვება ან მისი კერძო კომპანიებისთვის გადაცემა და აჯანჯლებს თუ არა „ოცნების“ ხელისუფლება კანონის მიღებას ხელოვნურად? — ამ კითხვებით „ვერსიამ“ პარლამენტისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მიმართა. როგორც ირკვევა, კამპანია „ეს შენ გეხება“-ს ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციებსაც გეგმავენ.

ეკა ბოკუჩავა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მთავარი იურისტი: **„ველოდით, რომ საკომიტეტო მოსმენების დასრულების შემდეგ პარლამენტი კანონპროექტს კენჭს უყრიდა. საკანონმდებლო ორგანოს ამის მცდელობა სამჯერ ჰქონდა და სამივეჯერ უშედეგოდ დასრულდა, რაც, როგორც მინიმუმ, არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა. იყო თუ არა ეს „ოცნების“ შეგნებული ნაბიჯი, შედეგს არ ცვლის. ამას გინდ შემთხვევითობა დავარქვათ, გინდ წინასწარდაგეგმილი სცენარი, ფაქტია, პარლამენტარები თავიანთ ფუნქციას არასერიოზულად მოეკიდნენ. ვფიქრობთ, მართვის პულტი შს სამინისტროს დაქვემდებარებაში არ უნდა დარჩეს, რადგან მოპოვებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენების მაღალი რისკი ყოველთვის იარსებებს. რაც შეეხება რომელიმე დამოუკიდებელი ორგანოს შექმნასა და ამ უფლების მისთვის გადაცემას, ეს კიდევ უფრო მაღალი რისკისშემცველია. თანაც, არავის გვაქვს გარანტია, ეს ორგანო მართლაც დამოუკიდებელი იქნება. ვერ ვხვდები უმრავლესობის წევრთა ლოგიკას, როცა ამბობენ, მობილური კომპანიებისგან ინფორმაციამ შეიძლება გაჟონოსო. ამ ლოგიკით, შესაძლოა, სამართალდამცავ ორგანოებშიც აღმოჩნდნენ ისეთი თანამშრომლები, ვისგანაც ინფორმაცია გავა. საფრთხე ყველგანაა, უბრალოდ, მყარი გარანტია უნდა გვქონდეს, რომ ქვეყნის უსაფრთხოება დაცული იქნება. „ეს შენ გეხება“-ს ფარგლებში გაკეთდა განცხადება, რომელსაც ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია იზიარებს — თუ მართვის პულტის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაჭიანურდება, ჩვენი პოზიცია უფრო მკვეთრი გახდება და უკვე სხვა ტიპის კამპანიას დავგეგმავთ. ვფიქრობ, მთავარია, ჩაინიშნოს პლენარული სხდომა, რათა კანონი პირველი მოსმენით დამტკიცდეს. ჩვენთვის პრინციპული იყო, სახელმწიფოს მზადყოფნა პოზიციის დონეზე მაინც დაეფიქსირებინა და კანონი პირველი მოსმენით გასულიყო. თუ ეს მოსმენა კვლავ გადაიდება, მაშინ ეჭვის საფუძველი გვექნება, რომ „ოცნებას“ კანონპროექტის გასვლა არ სურს! ჩვენ უკვე შევიკრიბეთ პარლამენტთან, მომზადდა კლიპები და შემიძლია ისიც გითხრათ, რომ პოზიციას თუნდაც სამოქალაქო საზოგადოების მობილიზებითა და აქციებით დავაფიქსირებთ!“**

„ოცნების“ უმრავლესობის პოზიცია „ვერსიისთვის“ იურიდიული კომიტეტის წევრმა, **თამარ კორძაია** გაახმოვანა და მთავარ კითხვას უპასუხა — უქმნის თუ არა პარლამენტი კანონის მიღებას ხელოვნურ ბარიერს: **„დღეს ამის ფიქრის საფუძველი არ მაქვს. უბრალოდ, აღმოჩნდა, რომ იმ დღეს ქვორუმი არ იყო. ზოგმა შეიძლება იეჭვოს, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა, მაგრამ ადგილობრივ არჩევნებამდე რიგგარეშე სხდომა აუცილებლად ჩაინიშნება. აი, ამის მერეც თუ არ მოხერხდა კანონის პირველი მოსმენით დამტკიცება, შემდეგ ვისაუბროთ საფუძვლიან ეჭვებზე. უმრავლესობის მხრიდან არანაირი დაბრკოლება არ შეიქმნება. საკითხი, რის გამოც საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ნოემბრამდე გადავდეთ, პრინციპულია და სწორად მოვიქეცით — იმედია, მოქალაქეებს არ ექნებათ განცდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ვინმეს უკანონოდ უსმენენ. რაც შეეხება ჯგუფს, რომელიც გადაწყვეტს, ვის ხელში იქნება მართვის პულტი, მას სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი დეპუტატი დააკომპლექტებს. გარდა ამისა, ამ ჯგუფში მოხვდებიან ინიციატორები, იურიდიული კომიტეტის წევრები, შსს-ს წარმომადგენელი, უცხოელი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ყველა დეტალის გათვლაში სწორედ უცხოელი ექსპერტები დაგვეხმარებიან. ასევე, გაისმა შენიშვნები ფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით, რაც საერთოდ მეორეხარისხოვან საკითხად მიმაჩნია. ჯერ ინფორმაციის დაცვის მექანიზმი უნდა განისაზღვროს და მას მოერგოს ფინანსები და არა პირიქით. უმცირესობის არგუმენტი — 6 თვეში გადაწყვეტილების მიღებას ვერ მოვახერხებთ — არასერიოზულია, ისინი 9 წელი ვერ ჩამოყალიბდნენ, ქვეყანა ტოტალური მოსმენების სისტემაზე არ აეწყოთ, ამ მემკვიდრეობასთან ბრძოლა კი საკმაოდ რთულია. წინასწარ რამის თქმა ძნელია, თუმცა იმედი მაქვს, გადაწყვეტილების მიღება დათქმულ ვადაში მოესწრება“.**

ვერსიანიუსი

ნაღმის შესახებ ოთხივე შეტყობინება ცრუ განგაში აღმოჩნდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპეციალურ ოპერაციათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №33ა-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, 55-ე საჯარო სკოლაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მე-2 საჯარო სკოლაში ჩატარებული შემოწმება-დათვალიერებისა და გაღმვითი სამუშაოების შედეგად ნაღმი არ აღმოჩნდა. დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ცრუ შეტყობინებებს. გამოძიება ოთხივე შემთხვევასთან დაკავშირებით ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

2013 წლის სექტემბერში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, კოდექსის 331-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გამკაცრდა პასუხისმგებლობა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისთვის. სანქცია ამგვარი ქმედებისთვის 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, გაიზარდა 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგივე ქმედება ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, სანქცია გაიზარდა 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კერძოდ, კოდექსს დაემატა 174-ე მე-15 პრიმა მუხლი, რომლის თანახმად, „112“-ის არამიზნობრივი, სისტემატური გამოყენება ერთსა და იმავე მოვლენასთან დაკავშირებით ითვალისწინებს საკმაოდ მაღალ ჯარიმებს. ასევე, აღნიშნული კოდექსის 172-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების თანახმად, არასრულწლოვნის მიერ „112“-ის არამიზნობრივი გამოყენებისათვის პასუხს აგებს მისი მშობელი.

„ვერსიანიუსი“

ეკა სეხნიაშვილი

ლალი მოროშკინას გაუხმაურებელი „ციხის სკანდალი“

რა კავშირი აქვს საბერძნეთში მყოფ „კანონიერ ქურდებთან“ ციხის დეპარტამენტის მრჩეველს?!

ლალი მოროშკინა კვირის სკანდალურ ფიგურად იქცა და მასმედიის ყველა საშუალება მის საჯარო პორტესტზე აქტიურად წერს, სიუჟეტებს არ იშურებს არც ერთი ტელევიზია, თუმცა რატომ „აუჯანყდა“ სინამდვილეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მოროშკინა, რისთვის იყენებდა სუბართან მეგობრობასა და მრჩევლობას და რა „შენაძენი“ გაიკეთა ციხეში, ამაზე არავინ საუბრობს. ისიც საინტერესოა, შიმშილობის გამოცხადების პარალელურად, რატომ არ ტოვებს ოფიციალურად, მოროშკინა დიმიტრი დარბაისელის მრჩევლის თანამდებობას და რა კავშირი აქვთ ამ სკანდალებთან საბერნეთში მყოფ კანონიერ ქურდებს?! „ვერსიამ“ მოროშკინას სკანდალის რამდენიმე ექსკლუზიური ვერსია მოიპოვა, რომელსაც აქვე განსჯისთვის შემოგთავაზებთ.

მოროშკინას „ციხეებში“ დანიშვნას საზოგადოებაში თავიდანვე მოჰყვა თითქმის პროტესტამდე მისული გაოცება. ვერ გეტყვით, პენიტენციალური სისტემის წინაშე რა დამსახურება ჰქონდა ყოფილ ჟურნალისტს, რომელიც საზოგადოებაში ერთხანს ბეწვეულის ეპატაჟური რეკლამირებით დაკავებულ ქალბატონად აღიქმებოდა, მაგრამ „ჩანგლებით მონადირე“ მოროშკინამ, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომ, სასჯელაღსრულებაში ადგილის „მოჩანგვლა“ მაინც მოახერხა. არადა, კაცმა რომ თქვას, სად პროდასავლური გაქანების სუბარი და სად ხომერიკისა და ებრალიძის მეგობრად ცნობილი მოროშკინა?! სუბარი არც პრეზიდენტი იყო და არც მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ლალის იმ არასამთავრობო ორგანიზაციას აუნთო „მწვანე“, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ სასჯელაღსრულებისა და ციხეების მონიტორინგის ჯგუფში მუშაობდა. როგორც წყარო გვიამბობს, მოროშკინას არასამთავრობო ბევრჯერ გაეხვია უსიამოვნო ხმაურში, მაგრამ ეს ფაქტები ციხის გარეთ არ გამოსულა. სამაგიეროდ, ამ სფეროში მომუშავეებს კარგად ახსოვთ, რომ მობილური ტელეფონების შეტანა ციხეებში სწორედ ამ დროს დაინერგა, ამ ამბავს მაშინ დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაია ხასაია გადააყოლეს, მოროშკინა კი, სუბარის წყალობით, დეპარტამენტში დარჩა. როგორც პრივატულ საუბარში გვეუბნებიან, ამავე პერიოდში დაფიქსირდა ქალბატონი ლალის აქტივობები სხვა მიმართულებითაც, მათ შორის „კრიტიდან“ ღია დაწესებულებებში პატიმრების გადაყვანის შემთხვევებიც. არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ რის სანაცვლოდ უწვდიდა მოწყალების ხელს მოროშკინა პატიმრებს, ეს, ალბათ, თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შეფებმა იციან ისევე, როგორც ყველამ იცის „ციხეზე“, თუ როგორ გაიცნო პატიმარი ირაკლი ჯაფარიძე მონიტორინგის ჯგუფში მუშაობისას. ახლა მეტყვით, სიყვარულმა ციხე და საპატიმროები არ იცისო, მაგრამ, ფაქტია, ციხის გისოსებში ნაპოვნი მეუღლე ციხიდან მალევე გამოდის და დეპარტამენტის შეფის მრჩეველიც მასთან ერთად საბერძნეთში საქორწინო მოგზაურობას იწყებს. ანალოგიურად დაეხმარა იგი მეგობარს — ლიკა ყაზბეგისა და პატიმარ გენადი ჯელაძის ქორწილის ციხეში ორგანიზება დეპარტამენტის შეფის მრჩევლის დამსახურებაა და პატიმრის ქორწილში ხელისმომკიდედაც კი იხილა საზოგადოებამ. მოროშკინამ ციხის მაშინდელ ადმინისტრაციას პატიმრის უფლებების შეზღუდვაშიც კი დასდო ბრალი, რადგან ბადრაგმა პატარძალი ქორწილის შემდგომ ქმართან საპატიმროში აღარ შეუშვა.

პრინციპში, საპატიმროებში ქორწინება ცუდი არ არის, ერთი ფაქტი რომ არ ქმნიდეს უხერხულობას: ლალი მოროშკინას რანგი და ინფორმაცია მისი მეუღლის მეგობრების — საბერძნეთში მყოფი კანონიერი ქურდების — სპარტაკ ჯაფარიძისა და გიორგი ავალიანის შესახებ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს პატიმრობა 2042 წლამდე ჰქონდა მისჯილი და, კულუარებში გავრცელებული ვერსიით, როგორც ამბობენ, სწორედ მოროშკინას რეკომენდაციით, უდო-ს კომისიამ ვადაზე ადრე გაათავისუფლა. რამდენად ახლოსაა სინამდვილესთან ინფორმაცია, რომ მოროშკინა და მისი მეუღლე საბერძნეთში მყოფ ზემოაღნიშნულ პირებს შეხვდნენ, ეს, ალბათ, მხოლოდ ამ შეხვედრის მონაწილეებმა იციან, მაგრამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კულუარებში ამბობენ, მოროშკინას აღნიშნული კონტაქტებისა და ნაცნობობის შესახებ „ზემოთ“ შეიტყვეს და შეიმჩნიესო. ლალიმაც დროზე ადრე დასწრების მექანიზმი აამუშავა და ხმაური ატეხა, პრემიებს ირიგებენ და „ნაცზონდერებს“ ამუშავებს დიმიტრი დარბაისელიო — მოროშკინას მოულოდნელი განაწყენების მიზეზად ზოგიერთი სწორედ ამ ვერსიასაც ასახელებს.

სხვათა შორის, მოროშკინას დღემდე ოფიციალურად არ დაუტოვებია მრჩევლის თანამდებობა. როგორც დაწესებულებაში ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში სიარულით თავს არ იკლავდა, პრემიას პრემიაზე იღებდა და მთელი მისი აქტივობა პატიმრების საყოველთაო ამნისტიის მოთხოვნით შემოიფარგლებოდაო. თუმცა კიდევ ერთი ინფორმაცია: პარალელურად, საკუთარ ოჯახის წევრებსაც ასაქმებდა. მაგალითად, მოროშკინამ შვილი — სანდრო ჩაგანავა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამეურნეო სამსახურში დაასაქმაო. პრინციპში, კმაყოფილებისთვის ცუდი ფაქტორები არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არსებობს გულისწყრომის კიდევ ერთი ვერსია: ამბობენ, ქალბატონი ლალი მუდმივად სთხოვდა დარბაისელს სოციალური სამმართველოს უფროსად დანიშვნას და სანაცვლოდ იმის პირობას იძლეოდა, რომ არასამთავრობებსა და კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტთა ნაკადთან ურთიერთობას დაალაგებდა. მოკლედ, მოროშკინას ირგვლივ ბევრი ვერსია და მოარული ხმა ტრიალებს. ასეა თუ ისე, დღეს იგი განაწყენებულია, შიმშილობით იმუქრება და ამბობს, რომ, თუ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, შვეიცარიის საელჩოს თავშესაფარს მოსთხოვს... მისგან გამოტანილი დეპარტამენტის ხელფასების უწყისები კი რატომღაც ნაციონალებამდე მიდის. „ვერსია“ კომენტარისთვის **ლალი მოროშკინას** დაუკავშირდა:

— **ქალბატონო ლალი, ოფიციალურად ისევ სისტემაში ყოფილხართ, როგორც გავიგე, მრჩევლის თანამდებობაც არ დაგიტოვებიათ..**

— დიახ, არ ვტოვებ, მე რატომ უნდა დავტოვო, დატოვებს დარბაისელი და ნაცზონდერების ბანდა..

— **როგორც მითხრეს, თქვენი ვაჟიშვილიც მუშაობს თქვენს სისტემაში... სამეურნეო სამსახურში..**

— საჯარო მოხელე არ არის. მხოლოდ კონტრაქტით იყო ანუ ხელშეკრულებით, ოღონდაც ეკონომიკური განხრით. ეს არის მომარაგებაში ეკონომიკური ჯგუფი, მაგრამ არც ხელფასი ერიცხება და არც პრემია..

— **სამაგიეროდ, თქვენ აგიღიათ სოლიდური პრემიები..**

— მე მქონდა პრემია, კი ბატონო, დღესასწაულებზე ხელფასის ნახევარი ოდენობა პრემია. ნახევარი ოდენობა არის 600-700 ლარი, სადღაც..

— **ინტენსიურად საუბრობენ, რომ თქვენი მეუღლის, ირაკლი ჯაფარიძის ახლობლები არიან კანონიერ ავტორიტეტებად ცნობილი სპარტაკ ჯაფარიძე და გიორგი ავალიანი... თუ იცნობთ ამ პირებს და თუ შეხვედრიხართ მათ საბერძნეთში?**

— გიორგი ავალიანს შევხვედრივარ, კი ბატონო, სისტემაში მუშაობისას ისევე, როგორც ჩემს მეუღლეს ირაკლი ჯაფარიძეს, რომელიც ციხეში გავიცანი. რაც შეეხება „კანონიერ ქურდებთან“ ჩემს კავშირებს, ეს თემა უკვე რაღაც გამოგონილია. „კანონიერ ქურდებთან“ ყველასთან მქონდა ურთიერთობა, როგორც დეპარტამენტის მრჩეველს, ხასაიასა და ბუთბაიას დროს, მათი დავალებით, ახლა აღარ. საბერძნეთში ვიყავი საქორწინო მოგზაურობაში და იქ სპარტაკისთვის არ ჩავსულვარ. არც გამიგია ჩემი მეუღლისგან, შევეკითხები..

— **მაია ხასაიას დროს რომ მობილური ტელეფონები შეიტანეს ციხეზე, თქვენ ამასთან რაიმე კავშირი თუ გქონიათ?**

— ამაზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და ხასაია გადადგა კიდეც, მე ამოღების პროცესში ვიყავი ჩართული, როგორც უსაფრთხოების თანამშრომელი. მეტი რა შეხება უნდა მქონოდა?

— **ქალბატონო ლალი, ამბობენ, თქვენი განაწყენების მიზეზი ისიცაა, რომ უფრო დიდი თანამდებობა გინდოდათ, კერძოდ, სოციალური განყოფილების ხელმძღვანელობა..**

— არა მე ელჩობა მინდა რუსეთში. დიახ, მინდა მაღალი თანამდებობა როგორც კი მოგვარდება რუსეთთან ურთიერთობები. დეპარტამენტში ისედაც დიდი თანამდებობა მაქვს და სოციალური განხრა უფრო დაბალი საფეხურია, მასე არ დავკნინდები.

ჰენრი კუპრაშვილი: „ჩვენს ეზოში 90-იანი წლები დიდი ხანია დაბრუნდა“

ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივნის ცემის ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის გენერალურ მდივანს, პროფესორ ჰენრი კუპრაშვილს საკუთარ საცხოვრებელ უბანში თავს დაესხნენ. შემთხვევა თბილისში, ნუცუბიძის მეოთხე მიკრორაიონში, მე-11 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. თავად ჰენრი კუპრაშვილის თქმით, ავტოფარეხთან თავს შვიდი პირი დაესხა და ფაქტი, სავარაუდოდ, ნარკომანიისა და კრიმინალის მომრავლებაზე მის პოზიციას უკავშირდება.

ჰენრი კუპრაშვილი: „სპორტკომპლექს „არენადან“, ვარჯიშიდან დავბრუნდი. მანქანა ფარეხში დავაყენე. გადმოსვლისთანავე შემოცვივდნენ უბნის ნარკომანები და კრიმინალები, შენ ჩვენ წინააღმდეგ გამოდიხარო, შემაგინეს და ციხიდან ახლადგამოსულმა ვინმე გიორგი ფოფხაძემ (პელე) მუშტებითა და წიხლებით ცემა დამიწყო. დანარჩენები, გაშველების ნაცვლად, მაკავებდნენ. ზურგზე ვიღაც (ვფიქრობ, პელე) კბილებით ჩამაფრინდა და ხორცი ამომაჭამა. შემდეგ პოლიცია და სასწრაფო მოვიდა. წამიყვანეს ქირურგიის ეროვნულ ცენტრში. ექიმებმა მითხრეს, ნარკომანის ნაკბენი საშიშია, შრატი უნდა გაიკეთო და სისხლის ანალიზი აიღოო. ჩვენს ეზოში კარგა ხანია 90-იანი წლები დაბრუნდა. ნარკომანებმა და კრიმინალებმა კვლავ მოიპოვეს ახალგაზრდებზე გავლენა. ყოველდღე, ე.წ. ბესედკაში იკრიბებიან, არის ერთი ღრიანცელი, გინება, ცემა-ტყეპა. მეზობლები შეწუხებულები არიან, თითქმის ყოველდღე იძახებენ პოლიციას, მაგრამ არავითარი შედეგი. ასე მომილოცეს ჩემი უბნის ნარკომანებმა და კრიმინალებმა 4 მაისს მსოფლიო რბენაში წარმატება, მარტში, ზამთრის ცურვის მსოფლიო ჩემპიონატზე მერვე ადგილზე გასვლა, შარშან ბოსფორის სრუტის გადაცურვა... ეტყობა, ძალიან ცუდ მაგალითს ვიძლევი... მარცხენა თვალი დამიზიანეს. მხედველობის, ასევე სმენის პრობლემა მაქვს. ყველაზე მეტად ნარკომანის ნაკბენის მეშინია. თავდამსხმელები მე-11 და მე-12 კორპუსებში ცხოვრობენ. ყველამ იცის, რომ ნარკომანები არიან. უმეტესობა ნასამართლევია. ამ კატეგორიის ხალხთან ურთიერთობა არ მაქვს. აცებოოკ-ზე დავწერე, რომ არ მიყვარს ასეთი ხალხი. არ ვიცი, ალბათ ამან იქონია გავლენა“.

ჰენრი კუპრაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ასევე აცხადებს, რომ შეწუხებული მაცხოვრებლები პოლიციას კი იძახებენ, მაგრამ შედეგი იმიტომ არაა, რომ სამართალდამცავების მოსვლის დროს ბიჭები ან ჩუმდებიან, ან საერთოდ, გარბიან. ასე გრძელდება თვეობით. თუმცა, შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, კუპრაშვილის ცემის ფაქტზე უკვე დაწყებულია და ექსპერტიზაც დანიშნულია.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის განცხადება

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ლალი მოროშკინას მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს და განვაცხადოთ, რომ აღნიშნული განცხადებები მიმართულია სტრუქტურის ღია დისკრედიტაციისკენ. აღნიშნული განცხადებები და ბრალდებები სრულიად ემთხვევა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს. გვსურს განვმარტოთ, რომ ლალი მოროშკინას მიერ გაკეთებულ დესტრუქციულ განცხადებებს წინ უძღვოდა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან მისი შეხვედრა, სადაც ყოველთვიურად 10 000 ლარის ოდენობის პრემია და ახალი ავტომანქანა მოითხოვა, რაზეც მიიღო უარი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სხვადასხვა ცრუ და აბსურდული განცხადებების გაკეთება. შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, ქალბატონი მოროშკინა დეპარტამენტში 2013 წლის პირველი იანვრიდან ირიცხება მონიტორინგის სამსახურის შტატგარეშე თანამშრომლად. ქალბატონი ლალი მაშინაც ცრუობს, როდესაც საუბრობს, თითქოსდა აღნიშნულ სამსახურში არ აუღია პრემია. მას თანამდებობრივ სარგოსთან ერთად პრემიის სახით 30 000 ლარი აქვს აღებული. ლალი მოროშკინას შრომითი ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის 30 ივნისს ეწურება. დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ლალი მოროშკინა თანამდებობიდან დღეს გათავისუფლდა.

მთავრობა სსიპ-ების ხელმძღვანელთა ხელფასებსა და პრემიებს განსაზღვრავს

პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურება 5%-ით იზრდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობის პირების ხელფასისა და პრემიების საკითხის მოწესრიგებას იწყებს. პრემიერის დავალებით, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, მაია ცქიტიშვილმა, მისმა მოადგილემ ნინო კობახიძემ და საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელმა ეკატერინე ქარდავამ საჯარო მოხელეთა ხელფასებისა და თანამდებობრივი სარგოების მოქნილი, სამართლიანი განაწილების პრინციპებზე დაფუძნებული და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი კონცეფცია 30 ივნისამდე უნდა შეიმუშაონ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრის II-ის მონაცემებით, 2013 წელს, 14 სამინისტროს თანამდებობის პირებზე, პრემიის სახით, 5 729 131, ხოლო სახელფასო დანამატის სახით 3 135 038 ლარი გაიცა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, 2013 წლის 7 მარტის 47-ე ბრძანებით, მინისტრებმა (სახელმწიფო მინისტრებმა) და საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსმა, პრემიის სახით, თითოეულმა 4 335 ლარი მიიღო. ამის შემდეგ, პრემიერ-მინისტრის 53-ე ბრძანებით, მინისტრის ყოველთვიური დასაბეგრი შემოსავალი 7 875 ლარით (ხელფასი 3 540, დანამატი 4 335 ლარი) განისაზღვრა. შესაბამისად, საპრემიო თანხების გარეშე, საქართველოს მთავრობის წევრის ერთი წლის შემოსავალი 94 500 (ხელზე — 75 600), 19 მინისტრის სახელფასო ფონდი 1 795 500 ლარია.

საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს მთავრობის წევრთა, თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა ხელფასისა და პრემიების საკითხი ყოველთვის იწვევდა. გაუგებრობის ასაცილებლად, **ირაკლი ღარიბაშვილმა** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასა და საჯარო სამსახურის ბიუროს თანამდებობრივი სარგოებისა და პრემიების ერთიანი წესის შემუშავება დაავალა, რომელიც ყველა თანამდებობის პირსა და საჯარო მოხელეზე გავრცელდება: **„ერთხელ და სამუდამოდ, უნდა შეიქმნას გამჭვირვალე სისტემა, რომელიც საჯარო მოხელეებისა და თანამდებობის პირთა ხელფასის, სახელფასო დანამატებისა თუ პრემიების საკითხს მოაწესრიგებს. სისტემა სტანდარტული უნდა იყოს, თუმცა განსაკუთრებით მძიმე და დიდ რისკთან დაკავშირებული საქმიანობის სპეციფიურობასაც უნდა ითვალისწინებდეს. ამ საკითხზე მუშაობა დაწყებულია, პირველი ეტაპიც გავლილია. პროცესი უმოკლეს ვადაში უნდა დავასრულოთ“.**

საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის, **ეკატერინე ქარდავას** განმარტებით, მთავრობის კანცელარია და ბიურო საჯარო მოხელეებისა და თანამდებობის პირთა სახელფასო სისტემის, სახელფასო დანამატებისა და პრემიერების რეგულირებაზე უკვე მუშაობს. მისი თქმით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროში რამდენიმე კვლევაც მომზადდა, ახლა კი ინტენსიური მუშაობა მიდის, რათა ევროპული პრაქტიკა ქართულ რეალობას მოარგონ: **„ჩვენეულ ხედვას, როგორ მოწესრიგდეს საქართველოში ხელფასის, დანამატებისა და პრემიების სამართლიანი სისტემა, ერთ თვეში კონცეფციის დონეზე წარვუდგენთ პრემიერს. ევროპული გამოცდილება და სტანდარტები თანამდებობის პირთა პრემიებისა და დანამატების მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობას აწესებს. თანამდებობის პირთა ხელფასისა და პრემიების მაქსიმალური ოდენობა საქართველოშიც უნდა დაწესდეს“.**

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, ნინო კობახიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თანამდებობის პირთა ხელფასის, სახელფასო დანამატებისა და პრემიების ზედა ზღვრის კონკრეტული ციფრი ან პროცენტული რაოდენობა განსაზღვრული არ არის, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. კონცეფციაში, რომელსაც 30 ივნისს წარადგენენ, ყველაფერი დეტალურად გაიწერება, შემდეგ კანონპროექტი მომზადდება, რომელიც თანამდებობის პირთა, ასევე საჯარო მოხელეთა ხელფასს, სახელფასო დანამატსა და პრემიის სისტემას განსაზღვრავს: **„დანამატებისა და პრემიების გაუქმება არასწორი იქნება. საჯარო მოხელესაც სჭირდება მოტივაცია, რათა ქვეყანასა და ხალხს ემსახუროს. საჭიროა დამატებითი საკანონმდებლო ჩარჩოები, რომელშიც თანამდებობის პირები და საჯარო მოხელეები მოექცევიან და შესაბამისად, ამ რეგულაციების თანახმად, მათთვის დანამატები და პრემიები დაინიშნება“.**

საინტერესოა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (სსიპ) და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ების ხელმძღვანელთა ხელფასიც. „ვერსიაში“ ვწერდით, რომ 2014 წლის თებერვალში მთავრობის კანცელარიაში გამართულ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, ირაკლი ღარიბაშვილი დაინტერესდა, რატომ აქვს არარეალურად მაღალი ანაზღაურება სსიპ-ებისა და სახელმწიფო შპს-ების ხელმძღვანელთა დიდ ნაწილს. იმ ხელმძღვანელთა წლიური შემოსავალიც გამოვაქვეყნეთ, რომელიც არარეალურად მაღალი იყო. მაგალითად, 2014 წლის მარტის მდგომარეობით, სააქციო საზოგადოება (ს/ს) „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ, თანამდებობრივი სარგოს სახით 323 250 ლარი მიიღო; „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა, მამუკა ბახტაძემ 194 925 ლარი; შპს „საქართველოს ფოსტის“ ხელმძღვანელმა, ლევან ჩიკვაიძემ 35 966 ლარი; შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორმა თამაზ ანდღულაძემ 98 421; „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა, მამუკა კობახიძემ 96 000; შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალურმა დირექტორმა, გოჩა მეზვრიშვილმა 89 733 ლარი...

საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა, ეკატერინე ქარდავამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ კონცეფციაში, სსიპ-ების ხელმძღვანელთა ხელფასი, სახელფასო დანამატები და პრემიაც განისაზღვრება. მისი თქმით, სსიპ-ების ხელმძღვანელები საჯარო მოხელეთა კატეგორიას მიეკუთვნება, ამიტომ შეზღუდვები და რეგულაციები მათზეც გავრცელდება.

აღნიშნული თემით თავის დროზე ყოფილი ბიზნესმბუდსმენი, **გიორგი პერტაიაც** დაინტერესდა და „ვერსიას“ განუცხადა, რომ სსიპ-ის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო, მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოზე მეტი არ უნდა იყოს, ხოლო სსიპ-ში დასაქმებულთა საშუალო თანამდებობრივი სარგო 1 500 ლარამდე უნდა განსაზღვრულიყო. გიორგი პერტაია იმაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომ სსიპ-ები ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს და ისინი არც მომსახურების მაღალ ტარიფებს უნდა აწესებდნენ: **„სსიპ-ების მომსახურების საფასური სამი ძირითადი პრინციპით უნდა რეგულირდებოდეს. პირველი — მოგებაზე ორიენტირებული სსიპ-ი არავის სჭირდება; მეორე — არ შეიძლება საფასურის გაზრდა ან ახლის შემოღება, თუ ახალ სერვისს არ სთავაზობენ; მესამე — ყველა საფასური უნდა შეესაბამებოდეს სსიპ-ის მიერ გაწეულ ხარჯს“.**

ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია. სსიპ-ები, ძირითადად, კვლავ ბიუჯეტიდან ფინანსდება და მათი შემოსავლის წყარო გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული თანხებია. ქვეყანაში არ არსებობს უწყება, რომელიც იმას მაინც გააკონტროლებს, როგორ და რა პრინციპით დაადგინეს სსიპ-ის ხელმძღვანელებმა ტარიფები.

ეკონომიკის ექსპერტი **ირაკლი ლექვინაძე** „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ სსიპ-ები დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურებია, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროს ქვეშ ფუნქციონირებს. სსიპ-ის ხელმძღვანელისა და ამ სტრუქტურაში დასაქმებულთა ანაზღაურება, მათი ზემდგომი სამინისტროების პირველი პირის ხელფასს აღემატება: **„რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არ არის, მინისტრს უფრო დაბალი ხელფასი რომ აქვს, ვიდრე მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ის ხელმძღვანელს; აქედან გამომდინარე, აუცილებელია, მთავრობის ადმინისტრაციამ და საჯარო სამსახურის ეროვნულმა ბიურომ ზუსტად ისევე განსაზღვროს სსიპ-ების ხელმძღვანელთა ხელფასი და პრემია, როგორც მინისტრებისა და საჯარო მოხელეების ანაზღაურებას განსაზღვრავს. საზოგადოებაში პოზიტიურად არ აღიქმება ასეთი მაღალი ანაზღაურება, რადგან ხშირად, დაუსაბუთებელია, რისთვის იღებენ თანამდებობის პირები ამ მოცულობის პრემიებს და შესაბამისად, ამ კონცეფციის შემუშავება სწორია“.**

მისი თქმით, აუცილებელია, თანამდებობის პირსა და საჯარო მოხელეს მაღალი ხელფასი ჰქონდეს, რათა სახელმწიფო სტრუქტურებში კვალიფიციური კადრები დარჩნენ. გარდა ამისა, საჯარო მოხელეს არ უნდა ჰქონდეს მოტივაცია, ჩაერთოს კორუფციულ სქემებში, მაგრამ ირაკლი ლექვინაძის თქმით, მთავრობამ სპეციალური ფორმულა უნდა შეიმუშაოს, რაც თანამდებობის პირთა ხელფასისა თუ პრემიის ოდენობას განსაზღვრავს; მეტიც, მთავრობამ კრიტერიუმები უნდა განსაზღვროს, რომლის საფუძველზე გასცემს პრემიას, საზოგადოებამ კი აუცილებლად უნდა იცოდეს, რა კონკრეტული დავალების შესრულებისთვის მიიღო მოხელემ პრემია.

იმ დროს, როდესაც პრემიერ-მინისტრის დავალებით, მთავრობის ადმინისტრაცია და საჯარო სამსახურის ეროვნული ბიურო მინისტრებისა და საჯარო მოხელეების ანაზღაურების საკითხის მოსაწესრიგებლად კონცეფციაზე მუშაობას იწყებს, საქართველოს პარლამენტი აპარატის თანამშრომელთა ხელფასს 5%-ით ზრდის. მომავალი წლიდან, საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტი 54 695 000 ლარი იქნება, რაც 2014 წელთან შედარებით, 2 604 000 ლარით მეტია. გავრცელებული ინფორმაციით, გაზრდილი თანხა შრომითი ანაზღაურების ზრდასა და ავტოპარკის განახლებას უნდა მოხმარდეს. დადგენილება „საქართველოს პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“, დეპუტატებმა უკვე მიიღეს და დოკუმენტი მთავრობასაც წარუდგინეს. მთავრობას აღნიშნული პარამეტრის შემცირების უფლება არ აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, 2014 წელს პარლამენტის საავტომობილო პარკის შეცვლა იგეგმებოდა, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია. იმის გამო, რომ თბილისში მდებარე პარლამენტის შენობას დაგეგმილზე მეტი სამუშაო დასჭირდა, პარლამენტის ბიუჯეტში ავტოპარკის განახლებისთვის საჭირო თანხა აღარ დარჩა, შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს ავტოპარკსაც გაისად განაახლებენ.

ვერსიანიუსი

46 მილიონიანი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო

პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები განახორციელებენ. პროგრამის მიზანია, საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარობისა და საექსპერტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური დახმარების საშუალებით.

პროგრამის ფარგლებში, განვითარდება ორიენტირებული ინდუსტრიები, რომელიც შერჩეულია შემდეგი კრიტერიუმებით: იმპორტის მოცულობა და წარმოების ადგილობრივი პოტენციალი. უფრო კონკრეტულად კი, პროგრამის დარგებია ქაღალდისა და მუყაოს წარმოება, მათ შორის შესაფუთი მასალა; სამშენებლო მასალების წარმოება, მათ შორის კერამიკული ფილები, მარმარილო, გრანიტი და სხვა ბუნებრივი ქვები; საფეიქრო წარმოება, მათ შორის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილი, ნართი (შალი, აბრეშუმი); ქიმიური წარმოება, მათ შორის ზედაპირულად აქტიური საშუალებები; ხის გადამუშავება, მათ შორის საოფისე ავეჯი, მდფ, დსპ; ელექტრომოწყობილობების წარმოება – მათ შორის საყოფაცხოვრებო ელექტოსაქონელი; ფარმაცევტული წარმოება – მათ შორის სადიაგნოსტიკო საშუალებები, მანქანათმშენებლობა, მათ შორის სათადარიგო ნაწილები; რეზინისა და პლასტმასის წარმოება, მათ შორის მილები, მილაკები, ღრუ პროფილები, ტარა, საკანცელარიო ნაწარმი; ლითონის მზა ნაწარმი, მათ შორის რკინა-კავეული, სამზარეულო ნაკეთობანი.

ასევე პირორიტეტულია სოფლის მეურნეობის მიმართულება, მათ შორის მეხილეობა-მებოსტნეობა, მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობების განვითარება, მესაქონლეობის ფერმები, მეფრინველეობის ფაბრიკები, მატყლისა და ტყავის დამუშავება, დაფნის, ჩაისა და თამბაქოს მოყვანა-გადამუშავება, კაკლის, თხილისა და სხვა კაკლოვანების მოყვანა-გადამუშავება; ხილის, კენკროვანების, ბოსტნეულისა და ციტრუსის გადამუშავება.

პროგრამის მიმართულებები განისაზღვრება მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა მონაცემთა ანალიზს, მეწარმეების გამოკითხვას და ექსპერტების ჩართულობას. პროექტის ბიუჯეტია 46 მილიონი ლარი, აქედან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზე 30 მილიონი, ინდუსტირული პროდუქციის წარმოებაზე კი 16 მილიონი ლარი დაიხარჯება.

პროგრამის განხორციელების ინიციატორი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია.

bpn.ge

რა უნდა გააკეთოს მთავრობამ სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად?

დავით მირცხულავა:

„საქართველოში, ყველა შესაძლო მაღალი რისკის მქონე მეწყერულ უბანზე, მონიტორინგისა და წინასწარი შეტყობინების განგაშის სისტემები უნდა დამონტაჟდეს!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სტეფანწმინდის რაიონში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფა, სამწუხაროდ, მსხვერპლით დასრულდა. დაკარგულად შვიდი ადამიანი მიიჩნევა, მეწყერში მოყვა სატრანსპორტო საშუალებები, საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი განადგურდა, მაგისტრალური გაზსადენი დაზიანდა და საქართველოს ტერიტორიის გავლით, რუსეთიდან სომხეთში ბუნებრივი გაზის ტრანზიტი შეწყდა. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ეს კატასტროფა დარიალჰესს დაუკავშირა. რამდენად რეალურია ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიცია, ან რა კავშირშია დარიალჰესის მშენებლობა სტიქიურ უბედურებასთან? „ვერსიას“ კომპანია „ტრანსელექტრიკას“ ტექნიკური ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით მირცხულავა ესაუბრება.

— ბატონო დავით, შესაძლებელია, დარიალჰესის მშენებლობას სტეფანწმინდაში სტიქიური უბედურება გამოეწვია და ავარიის მაპროვოცირებელი ყოფილიყო?

— არა! აღნიშნული 5 047 მეტრი სიმაღლის მწვერვალის, მყინვარწვერის ჩრილოაღმოსავლეთ კალთაზე განლაგებული დევდარაკის მყინვარის ნაწილის დაცურების შედეგია. რაც შეეხება დარიალჰესის მშენებლობასა და აღნიშნულ კატასტროფასთან კავშირს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებული ზონებია — ჰესის მშენებლობის ადგილი საკმაო მანძილითაა დაშორებული სტიქიის ზონასთან და კატასტროფასთან არავითარი კავშირი არ აქვს! ცნობილია, რომ მყინვარის ფენების მოძრაობის შედეგად, ამ ტერიტორიაზე ანალოგიური კატასტროფა 2002-2007 წლებშიც მოხდა. უფრო ადრეული შემთხვევებიც არსებობს, როცა ამ ტერიტორიაზე არავითარი მშენებლობა არ მიმდინარეობდა, ამიტომ ჰესის მშენებლობასა და სტიქიურ უბედურებას შორის კავშირის ძებნა არაკორექტული და არასწორია. სამწუხაროდ, ასეთი კატასტროფები მსოფლიოში საკმაოდ ხშირია. ამ ტერიტორიასთან ახლოს, 2001 წლის 20 სექტემბერს, ჩრდილოეთ ოსეთში, კარმადონის ხეობაში მყინვარის დაცურებას 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, თერგის ხეობაში არაერთი კატასტროფა და ღვარცოფი ფიქსირდება; ისტორიულად ცნობილია, ღვარცოფმა მდინარე თერგი და საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტა, შედეგად, ხელოვნური ტბა წარმოიქმნა, რომლის სიღრმე 100 მეტრს აღემატებოდა... ღვარცოფი ხშირია მდინარე დურჯის ხეობაშიც, 1977 წელს ღვარცოფმა თელავი დააზიანა — ქუჩები დაიტბორა და სავარგულები განადგურდა. 1973 წლის ივლისში, ყაზახეთში, ალმა-ათასთან, მდინარე პატარა ალამატინკაზე აშენებულმა კაშხალმა, რომელიც მყინვარიდან წამოსული ღვარცოფისგან ქალაქის დასაცავად სპეციალურად ააგეს, უძლიერესი მეწყერისგან ქალაქის დაცვა შეძლო და ათასობით ადამიანის სიცოცხლე გადარჩა. ფაქტობრივად, კაშხალმა და მისმა ქვაბულმა რამდენიმე მილიონი კუბური მეტრის ღვარცოფული ნაკადი შეაჩერა. სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ 1973 წლის კატასტროფული ღვარცოფული ნაკადი, სიმძლავრით ოთხჯერ აღემატებოდა ღვარცოფულ ნაკადს, რომელიც იმავე ადგილას 1921 წელს წარმოიქმნა და კატასტროფული შედეგებით დასრულდა.

— დარიალჰესის მშენებლობის ზოგიერთი მოწინააღმდეგე აღნიშნავს, რომ დიდი ოდენობით წყლის დაგროვებას მდინარეების ჰიდროლოგიაში ცვლილებები შეაქვს, გრუნტის წყლების დონე იწევს, რაც შესაძლოა, ეროზიასა თუ ღვარცოფს პროვოცირებს...

— დარიალჰესი დერივაციული ტიპის ჰესია და მუშაობს მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე. აქედან გამომდინარე, წყლის დაგროვებას არ აქვს ადგილი და შესაბამისად, რაიმე პროვოცირებაზე საუბარი, ობიექტურ არგუმენტებსაა მოკლებული, უფრო ზუსტად, ასეთი არგუმენტები არ არსებობს!

— მეწყერისა და ღვარცოფის ზონები ჩვენს ქვეყანაში, სავარაუდოდ, სხვაგანაც გვხდება. მსგავსი ზონების კლასიფიკაცია არსებობს?

— საქართველოში ამ დარგის შესანიშნავი სპეციალისტები არიან, რომლებიც მრავალი წელია, ამ მოვლენებს იკვლევენ. დიდი პატივისცემით ჩამოვთვლი აკადემიკოსებს — ემილ წერეთელი, ოთარ ნათიშვილი, პროფესორი გივი გავარდაშვილი... შემიძლია დავასახელო უამრავი, მაღალკვალიფიციური თეორიული თუ პრაქტიკული ნაშრომი, რომლებიც წლების განმავლობაში, ქართველი მეცნიერების მიერაა შესრულებული და დაკავშირებულია ბუნებრივ კატასტროფებთან, კერძოდ, ეროზიული თუ ღვარცოფული პროცესების პროგნოზირებასთან. ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რომ მეცნიერები ყოველწლიურ დაკვირვებას აწარმოებენ და შესაბამის სამეცნიერო ანგარიშსაც ამზადებენ, სადაც სისტემატიზირებულია ასეთი, პოტენციურად საშიში უბნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, ამ პოტენციურად საშიშ ზონებზე მუდმივი დაკვირვებები არ ხდება, რაც სამწუხარო ფაქტია.

— გარემოს დაცვის მინისტრმა, ხათუნა გოგალაძემ, აღნიშნა, რომ ასეთი მოვლენების პროგნოზირება არ შეიძლება და ამას ავსტრიასა თუ შვეიცარიაშიც კი ვერ ახორციელებენ, ეთანხმებით მას?

— მინისტრმა ავსტრია სწორად აღნიშნა, რადგან ეს ქვეყანა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ამ მოვლენების, როგორც თეორიულ, ასევე ნატურულ გამოკვლევებს, მათ შორის, პროგნოზირების მეთოდების შესწავლას. მთელ ევროპაში ასეა. ევროპის კონტინენტმა კარგად იცის, როგორი საშინელი შედეგისმომტანია ამ ტიპის ბუნებრივი კატასტროფები. მარტო მე-20 საუკუნეში, ასეთმა კატასტროფებმა, ევროპაში 16 000 ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო მატერიალურმა ზარალმა 1.7 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. რაც შეეხება ავსტრიას, მაგალითად, მათ აქვთ მეწყერული ზონა, სადაც დაკვირვებათა ისტორიული რიგი 1660 წლიდან იწყება და ამ პროცესებს დღესაც აკვირდებიან. მაგალითად, 2006 წელს 3 800 000 კუბური მეტრი, აკუმულირებული გრუნტის მასა მოვიდა მოძრაობაში და საგანგაშო ვითარება შეიქმნა, რასაც ადამიანების სწრაფი ევაკუაცია დასჭირდა. მთელ მსოფლიოში კარგადაა ცნობილი და აპრობირებულია, რომ ასეთი ტიპის კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, ერთადერთი საშუალება სწორედ მუდმივმოქმედი, ინსტრუმენტალური მონიტორინგის სისტემის ორგანიზება და წინასწარი შეტყობინების მაღალტექნოლოგიური განგაშის სისტემების მონტაჟია. სხვათა შორის, ერთ-ერთ ცნობილ იტალიურ კომპანიას, რომელიც ამ ტიპის მაღალტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს ამზადებს, საქართველოში წარმომადგენლობაც კი ჰყავს. ასეთი ტიპის ზოგიერთი ინსტრუმენტი, კაშხლების უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემებში გამოიყენება და უნდა ითქვას, რომ ეს ინსტრუმენტები საქართველოში განლაგებულ კაშხლებზეცაა დამონტაჟებული. პირდაპირ გეუბნებით, რომ საქართველოში, ყველა შესაძლო მაღალი რისკის მქონე მეწყერულ უბანზე, ასეთი მონიტორინგისა და წინასწარი შეტყობინების განგაშის სისტემები უნდა დამონტაჟდეს! ეს საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით თითქმის არაფერია გაკეთებული და მიმაჩნია, რომ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსასწორებლად, სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები აუცილებლად უნდა გადადგას.

— კაშხლების უსაფრთხოების კონტროლის მონიტორინგის სისტემები ახსენეთ და ბრძანეთ, რომ მათი დამონტაჟება აუცილებელია — გეგმავთ ამ სისტემების განლაგებას ხუდონჰესზე ან სხვა მშენებარე ჰესებზე?

— უსაფრთხოების მონიტორინგის საკმაოდ მაღალტექნოლოგიური სისტემებია დამონტაჟებული ენგურის თაღოვან კაშხალზე, ჟინვალჰესის კაშხალზე. თუმცა ამ მიმართულებითაც გვხდება უამრავი ნაგებობა (მათი რაოდენობა საკმარისზე მეტია), სადაც ასეთი სისტემები არ არსებობს და ეს დაუშვებელია. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ყველა კაშხალზე, რომლის სიმაღლე 7 მეტრს აღემატება, კანონმდებლობის მკაცრი მოთხოვნით, უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემის მონტაჟი აუცილებელია. ჩვენთან კი ამ მიმართებით, ნორმატიული ბაზა უნდა შეიქმნას. რაც შეეხება ხუდონჰესს, რა თქმა უნდა, ეს პროექტი ასეთი ტიპის მონიტორინგის სისტემით მონტაჟს ითვალისწინებს არა მარტო ექსპლუატაციის ეტაპზე, არამედ მშენებლობის პროცესშიც.

— არც ისე დიდი ხნის წინ, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, განაცხადა, რომ გარემოზე ხუდონჰესის ზემოქმედების ანგარიშის საბოლოო ვარიანტი იმ 111 შენიშვნას არ ითვალისწინებს, რომელიც პროექტის წინა ვარიანტის შესახებ გამოითქვა...

— ყველა მსურველი და დაინტერესებული პირი, ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების საბოლო ვარიანტს რამდენიმე კვირაში გაეცნობა. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი ჩვენი ორგანიზაციიდან არ გასულა და არ გავრცელებულა. მეტიც, სულ რამდენიმე ადამიანს, ჩემი ჩათვლით, ჯერჯერობით ამ დოკუმენტთან წვდომაც კი არ აქვს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საბოლოო ვარიანტის გაფორმება არ დასრულებულა. აშკარად, დიდ გაუგებრობასთან აქვს ადგილი. ჩემი აზრით, სახალხო დამცველს სანდო, გადამოწმებული ინფორმაცია არ მიაწოდეს და შეცდომაში შეიყვანეს. სხვათა შორის, რატომღაც მიიჩნევენ, რომ ეს 111 შენიშვნა ძალიან ბევრია. მე პირიქით მგონია! თუ საერთაშორისო პრაქტიკას გაეცნობით, ასეთი ტიპის დოკუმენტებზე და ზოგადად, ამ მასშტაბის პროექტებზე 111 შენიშვნა ბევრი არ არის. სამწუხაროა, რომ დიდი „ხმაურის“ მიუხედავად, ხუდონჰესის მნიშვნელოვან პროექტზე, ჩვენ ქვეყანაში მოქმედმა მხოლოდ ორმა ორგანიზაციამ გამოთქვა შენიშვნა. არ მომერიდება ვთქვა, რომ ჰიდროენერგეტიკის სწრაფი ტემპით განვითარება, ჩვენი ძირითადი პოტენციური რესურსის ათვისება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს მომავალ ეკონომიკურ აღმავლობას. ამ აღმავლობისთვის ყველაზე მთავარი, ინფრასტრუქტურული ენერგეტიკული საფუძვლის შექმნაა, რასაც ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველყოფა მოჰყვება.

ვერსიანიუსი

საპატრულო პოლიციამ ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა 1989 წელს დაბადებული გიორგი კ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გიორგი კ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ერთ-ერთ სუპერმარკეტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ის მოლარეს აყაჩაღებდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული მოლარეს თავს დაესხა და დანის მუქარით ფული მოსთხოვა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

მამუკა ხერხეულიძის მიერ იარაღის უკანონო ტარების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, 1985 წელს დაბადებული გიორგი ნ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, 1959 წელს დაბადებული მამუკა ხ. ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მამუკა ხ-ს შემთხვევის დროს თან ჰქონდა მის სახელზე შეძენა-შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლებაც არ ჰქონდა. სამართალდამცველებმა მამუკა ხ-ს სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება გიორგი ნ-ს მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების, ხოლო მამუკა ხ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

მამუკა ხერხეულიძე პეტრიაშვილის ქუჩაზე, 14 მაისს დაჭრეს.

„ვერსიანიუსი“

საქართველოში მენინგიტის 107 შემთხვევა დაფიქსირდა

როგორ ამოვიცნოთ და ვებრძოლოთ დაავადებას — რეკომენდაციები მშობლებს

24 აპრილის შემდეგ საქართველოში მენინგიტის 107 შემთხვევაა დაფიქსირებული. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ხათუნა ზახაშვილის ინფორმაციით, ერთეული შემთხვევები 24 აპრილიდან დაიწყო, 10 მაისიდან კი მენინგიტის შემთხვევების მატებაა: **„ენტეროვირუსული მენინგიტური შემთხვევები მთელ საქართველოშია. შემთხვევათა უმრავლესობა თბილისშია აღრიცხული. ბავშვების გარდა, მენინგიტი მოზრდილებშიც გვხვდება. 107 რეგისტრირებული შემთხვევიდან მძიმე არცერთი ყოფილა. მენინგიტის შემთხვევები ზაფხულის მანძილზე გაგრძელდება, თუმცა ვფიქრობთ, ნაკლები ინტენსივობით. მდგომარეობა საგანგაშო არ არის, თუმცა, თავდაცვის მიზნით, მოსახლეობამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს“.**

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, ვირუსულ მენინგიტთან დაკავშირებით პანიკის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

მენინგიტის რამდენიმე შემთხვევა სკოლებშიც დაფიქსირდა. მათ შორის, ბოლოს, 175-ე საჯარო სკოლაში.

ვირუსული მენინგიტების რაოდენობის ზრდა უპირატესად უკავშირდება ენტეროვირუსულ ინფექციას, რომელსაც 4-5 წლიანი ციკლურობა ახასიათებს და 2006, 2010 წლების მატებათა შემდგომ მიმდინარე სეზონზე მოსალოდნელი იყო. ენტეროვირუსული ინფექციით ადამიანები ავადდებიან ნებისმიერ სეზონზე, თუმცა ჩვილები, ბავშვები და მოზარდები უფრო ხშირად ინფიცირდებიან. ენტეროვირუსით ინფიცირებულთა უმრავლესობა ავად არ ხდება, ან აღენიშნებათ მსუბუქი სიმპტომები. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს მძიმე დაავადება. გართულების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან ჩვილები ან სუსტი იმუნიტეტის მქონე პირები. იშვიათად შეიძლება განვითარდეს დამბლაც.

ენტეროვირუსით ინფიცირება შესაძლებელია ფეკალიებით დაბინძურებულ ზედაპირთან შეხების შემდგომ დაუბანელი ხელის ცხვირის, პირის, თვალების ლორწოვანთან შეხებით.

ვირუსული მენინგიტი ხასიათდება ტემპერატურის უეცარი მატებით, თავისტკივილით და კისრის დაჭიმვით, ხშირად ახლავს გულისრევვა, ღებინება, ფოტოფობია, შეცვლილი ცნობიერება.

ბაქტერიული (რომელიც უფრო მძიმედ მიმდინარეობს) და ვირუსული მენინგიტის სიმპტომები მსგავსია, ამიტომ პირველივე სიმპტომების გაჩენისას აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

ვირუსული მენინგიტის სიმპტომები განსხვავდება ასაკის მიხედვით. ჩვილებში ძირითადად ახასიათებს ცხელება, გაღიზიანებადობა, უმადობა, ძილიანობა. მოზრდილებში კი — მაღალი ტემპერატურა, ძლიერი თავისტკივილი, კისრის დაჭიმვა, მკაფიო სინათლეზე რეაქცია, ძილიანობა, გულისრევა, უმადობა.

ვირუსული მენინგიტის სიმპტომები ჩვეულებრივ 7-10 დღე გრძელდება. ნორმალური იმუნიტეტის მქონე პირები სრულად გამოჯანმრთელდებიან.

ვირუსის გავრცელების თავიდან აცილება საკმაოდ რთულია, რადგან ზოგჯერ ინფიცირებული ადამიანი არ გამოიყურება როგორც ავადმყოფი, მაგრამ ავრცელებს ვირუსს. მისი გავრცელების პრევენციისთვის რეკომენდებულია ხელების ხშირი დაბანა, ხშირად შეხებადი ზედაპირების სველი წესით დასუფთავება ან დეზინფექცია.

„ვერსიანიუსი“

სტომატოლოგიური კაბინეტების შემოწმება ერთი წლით გადავადდა?



რეგულაციების გამკაცრების დადებითი და უარყოფითი შედეგები

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ სტომატოლოგიური დაწესებულებების რეგულაციები მკაცრდება. გავრცელებული ინფორმაციით, დანტისტთა კაბინეტების შემოწმება ერთი წლით გადავადდა. საპარლამენტო უმცირესობის წევრს, **გიგი წერეთელს** მიაჩნია, რომ ამ ინიციატივას, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები მოყვეს: **„რეგულაციების გამკაცრების საფუძვლად სახელმწიფოს არგუმენტები, რომ არიციან, რამდენი დაწესებულება მოქმედებს ან შემოწმების უფლება არ აქვთ, არ არის მართებული. ყოველთვის არსებობს კანონიერი გზა, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია მიიღო და დაწესებულება გააკონტროლო. ბევრი დაწესებულება სისტემატურად უგზავნის სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს“.**

გიგი წერეთლის თქმით, სტომატოლოგიური საქმიანობა ბოლო წლებში სწრაფად განვითარდა. ამ სფეროში, პირდაპირ თუ ირიბად, დასაქმებულია ათასობით ადამიანი — სამედიცინო პერსონალი, მასალის, მედიკამენტისა თუ ინვენტარის მომწოდებელი. სწორედ, თავისუფალმა კონკურენციამ და სტომატოლოგიურ საქმიანობაში სახელმწიფოს ნაკლებად ჩარევამ განაპირობა მაღალი ხარისხის სერვისის უამრავი მიმწოდებლის შექმნა: **„სტომატოლოგიური დაწესებულებების უმრავლესობას მაღალი დონის შიდაკონტროლის მოთხოვნები აქვს. ყველას ესმის, ნებისმიერი შეცდომა ან პაციენტის უკმაყოფილება შეიძლება ძვირად დაუჯდეს და საქმიანობაც ვეღარ გააგრძელოს. გარდა ამისა, თუკი ასეთ დაწესებულებებში, დაუდევრობის გამო, C ჰეპატიტი ან შიდსი გავრცელდება, კანონი მკაცრია. ამ ფონზე, თავად დაწესებულებების მოტივაციაა, შეინარჩუნონ მაღალი ხარისხის უსაფრთხო მომსახურეობა“.**

დეპუტატის განცხადებით, როცა ქვეყანაში დასაქმების პრობლემაა, ამგვარმა რეგულაციებმა შეიძლება ამ სექტორში სამუშაო ადგილების შემცირება და ფასების ზრდაც გამოიწვიოს. მისი თქმით, არც ისაა გამორიცხული, სახელმწიფოს მხრიდან სტომატოლოგიური დაწესებულებების აქტიურმა კონტროლმა კორუფციის წარმოქმნას შეუწყოს ხელი. გიგი წერეთლის აზრით, **„ტექნიკური გადაიარაღებისა და პანდუსების მოწყობისთვის ვადა უნდა დაწესდეს, რა პერიოდშიც დაწესებულებები არ დაჯარიმდებიან. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, სტომატოლოგიური მომსახურეობა მოსახლეობისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ ხელმძღვანელი **მარინა ბერაძე** განმარტავს, სტომატოლოგიური დაწესებულებების რეგულაციების გამკაცრებაზე საუბარი იმიტომ დაიწყო, რომ კვლევების თანახმად, C ჰეპეტატისა და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების კუთხით, საქართველოში საგანგაშო მდგომარეობაა. მისივე თქმით, ყველა ქვეყანაში ამ სფეროს გარკვეული სამსახური არეგულირებს და ფუნდამენტურ მიმართულებებსაც კარნახობს: **„გიგი წერეთელი აცხადებს, დაწესებულებებს აქვთ მოტივაცია, შეინარჩუნონ მაღალი ხარისხის უსაფრთხო მომსახურება და ამ ფონზე, დამატებითი რეგულაციები საჭირო აღარ არისო. თუ ასეა, რატომ მოიაზრება სწორედ სტომატოლოგიური დაწესებულებები C ჰეპატატისა და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების კერად? ჯანდაცვის სფერო და რეფორმის სიკეთე თუ ხარვეზები პოლიტიკისგან უნდა გაიმიჯნოს. ყველა პროფესიონალის აზრთა თანხვედრა უნდა მოხდეს, თორემ მწარე გამოცდილება გვაქვს – ე.წ ლიბერტარიანულმა მიდგომამ დააზიანა და კომერციული გახადა ჯანდაცვა“.**

რაც შეეხება გამოსავალს, მარინა ბერაძის თქმით, საჭიროა ისეთი ცვლილებები, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას ჩამოაყალიბებს – ასე ხდება უცხოეთშიც და არამხოლოდ სტომატოლოგიური კაბინეტებისთვის: **„მხოლოდ მაშინ იქნები დარწმუნებული სამედიცინო დაწესებულების სანდოობაში, როცა იგი აკრედიტაციას გაივლის. აპელირება, რომ ამას თავად დაწესებულება ან მეპატრონე უზრუნველყოფს, დაუშვებელია. პროცესის კეთილ ნებაზე მიშვებით, საგანგაშო ვითარება მივიღეთ და რეგულაციების დაწესება გახდა საჭირო. მიზანი უნდა იყოს უსაფრთხო, ხარისხიანი მომსახურება და მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციაა პროგრესის მომტანი. სახელმწიფომ უნდა დაადგინოს თამასა, თითოეულ სამედიცინო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველმყოფი შიდასისტემა დანერგოს და პარამეტრებიც წინასწარ განსაზღვროს. სტომატოლოგია ყველა ქვეყანაში ძვირია, რადგან მაღალკვალიფიციური ექიმების მომზადებაა ძვირი, ექიმის შრომაც ადეკვატურად უნდა ანაზღაურდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგს ვერ მივიღებთ“.**

ჯანდაცვის მინისტრი სტომატოლოგიური კაბინეტების შემოწმების ერთი წლით გადავადებას არ ადასტურებს. დავით სერგეენკოს განმარტებით, არსებობს გეგმა, რომლის თანახმად დაწესდა ნორმატივები და კაბინეტებს დაუწესდა გამოსასწორებელი ვადა. ჯანდაცვის სამინისტრო ითანამშრომლებს სტომატოლოგიურ კაბინეტებთან და უწყება არ იქნება სადამსჯელო ფუნქციის მატარებელი.

მთავრობის დადგენილებით, 2014 წლის პირველი მაისიდან სტომატოლოგიური მომსახურების მომწოდებლებისთვის სავალდებულო პირობაა შესაბამისი ინფრასტრუქტურა პირადი ჰიგიენის დაცვისა და შენობის დეზინფექციისთვის. სტომატოლოგიურ კლინიკებს ევალება სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო შეგროვება-განადგურება, იარაღების სტერილიზება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის სათანადო პირობების შექმნა, სამედიცინო და სტატისტიკური დოკუმენტების შესაბამისი წესით წარმოება, კვალიფიციური, სერტიფიცირებული პერსონალი. ამასთან, სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტთათვის თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს ინფორმაცია ამ დაწესებულების მიერ მოწოდებული სერვისების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით დაფარვის შესახებ.

ექსპერტების ინფორმაციით, საქართველოში, 200 000 ადამიანია C ჰეპატიტით ინფიცირებული, რაც ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 6,7%-ია. ასეთი მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტები სწორედ სტომატოლოგიური საქმიანობის უკონტროლობას ასახელებენ. სტატისტიკის მიხედვით, ამ დაავადების გავრცელების მხრივ, საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში, სავარაუდოდ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		9	5					3
			2		6			
7				4		2		9
	9		7				5	4
		1	9	6	4	7		
4	7				2		9	
3		6		8				7
			6		1			
9					5	4		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	4		2			9		
	1				6	4		
8	7				3			6
				2				
9								7
				4				
5			6				9	8
		8	7				6	
		7			1		5	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

6			3			9		7
			7		5			
	2	1				3		
3				8	7		4	
	6		1	5				3
		5				8	3	
			8		4			
8		7			6			4

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲠᲢᲘ

7	5							
	6			2	8			5
1			6			2		
			3	9			6	
	3	8				1	9	
	7			8	6			
		7			9			6
2			8	6			7	
							2	4

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ

ამერიკელ ადვოკატს ბრალი ძალის გამოყენებისთვის წაუყენეს, რადგან ფედერალურ ბრალმდებელს ხელის ჩამორთმევისას მხარი დაუზიანა. ადვოკატი ქეით ბრიუერ-რენტასი საკუთარი მეუღლის საქმის მოსმენაზე ფლორიდის შტატის სასამართლოში მივიდა, რომელსაც შინაპატიმრობა ვადაზე ადრე გათავისუფლების პირობების დარღვევისთვის მიუსაჯეს. როგორც სასამართლოს უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი ამბობს, საქმის მოსმენის შემდეგ ადვოკატს ბრალმდებელი ჯენიფერ კინი გააცნეს. თვითმხილველის თქმით, ქეითმა ისეთი ძალით ჩამოართვა ხელი, ბრალმდებელს ლამის მხარი ამოუგდო. ქეით რენტასი 100 ათასი დოლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა, თუ სასამართლომ დამნაშავედ სცნო, ადვოკატს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მობილურით ყურს ითბობდა

გერმანელი ვალტერ კლაინი საგზაო პოლიციამ იმის გამო დააკავა, რომ სატვირთო მანქანის მართვისას მობილურ ტელეფონზე ლაპარაკობდა. თუმცა, მძღოლმა უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე და სასამართლოში თავი იმართლა — ყური ამტკივდა და ვიდრე მანქანას დავათბობდი, ყურზე მობილური დავიდეო. საკუთარი სიტყვების დასტურად კლაინმა მობილური ტელეფონის ანგარიშიდან ამონაწერი წარადგინა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ მანქანის მართვისას მის ტელეფონზე არანაირი ზარი არ განხორციელებულა. სასამართლომაც დაუჯერა გერმანელ მძღოლს და ჯარიმისგან გაათავისუფლა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲣᲩᲘᲜᲐᲠᲘ ᲢᲣᲐᲚᲔᲢᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ

ჩინეთის ქალაქ ცზინანში, გასულ კვირას საზოგადოებრივი ტუალეტი გახსნეს, რომელიც მიწაშია და მხოლოდ მას შემდეგ „ჩნდება“, რაც მსურველი მასთან დაკავშირებულ მოწყობილობაში მონეტას ჩააგდებს — ასე რომ, ვინც არ გადაიხდის, ვერც ბუნებრივ მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებს. ეს საზოგადოებრივი ტუალეტი კიდევ იმითაა კარგი, რომ არ სჭირდება არანაირი კონტროლიორი, თანაც დაცული იქნება ვანდალებისგან. იმასთან დაკავშირებით, კაბინა კლიენტთან ერთად ხომ არ ჩაიმალება მიწაში, არაფერია ნათქვამი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტუალეტი რამდენიმე ხნის წინ ჰოლანდიელმა გამომგონებელმაც წარმოადგინა. თუმცა, ევროპული „უჩინარი“ კაბინა უფასოა და ისინი ნიდერლანდების ზოგიერთ ქალაქში სულ სხვა პრობლემის მოსაგვარებლად დაიდგა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	7	2	8	9	6	3	1	5
3	8	1	7	5	4	6	2	9
9	6	5	3	2	1	8	4	7
1	9	4	6	8	7	5	3	2
6	5	3	4	1	2	7	9	8
8	2	7	5	3	9	4	6	1
7	4	9	1	6	8	2	5	3
5	1	8	2	4	3	9	7	6
2	3	6	9	7	5	1	8	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	9	7	1	3	6	5	4	2
1	2	4	9	8	5	7	6	3
6	5	3	7	4	2	1	9	8
9	3	8	6	5	7	4	2	1
7	6	2	8	1	4	9	3	5
5	4	1	3	2	9	8	7	6
4	1	6	5	9	3	2	8	7
3	8	9	2	7	1	6	5	4
2	7	5	4	6	8	3	1	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	2	5	4	1	3	9	8	7
4	9	8	6	5	7	3	2	1
1	7	3	2	8	9	4	5	6
5	8	4	7	9	2	1	6	3
3	6	7	5	4	1	2	9	8
2	1	9	3	6	8	7	4	5
9	5	2	1	7	6	8	3	4
8	4	1	9	3	5	6	7	2
7	3	6	8	2	4	5	1	9

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲠᲢᲘ

3	9	2	1	8	7	6	4	5
5	7	6	4	3	9	2	1	8
1	8	4	6	2	5	9	3	7
2	6	5	9	1	8	4	7	3
9	4	8	7	6	3	5	2	1
7	1	3	2	5	4	8	9	6
8	3	1	5	9	2	7	6	4
4	5	9	3	7	6	1	8	2
6	2	7	8	4	1	3	5	9

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3	2	1	8	9	7	6	5
5	8	1	7	6	4	3	2	9
7	9	6	5	3	2	4	1	8
6	5	4	3	9	8	2	7	1
8	2	7	4	1	5	6	9	3
9	1	3	2	7	6	8	5	4
3	6	9	8	2	1	5	4	7
2	7	5	9	4	3	1	8	6
1	4	8	6	5	7	9	3	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	1	3	9	2	8	5	7	6
2	9	8	7	6	5	4	3	1
7	6	5	4	3	1	2	9	8
6	4	2	8	7	3	1	5	9
5	3	1	6	9	4	8	2	7
9	8	7	5	1	2	6	4	3
8	7	4	3	5	6	9	1	2
1	5	9	2	8	7	3	6	4
3	2	6	1	4	9	7	8	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	4	3	2	1	8	5	9	7
2	7	5	3	9	6	4	1	8
1	9	8	7	5	4	3	6	2
9	6	2	5	7	3	8	4	1
8	1	7	4	2	9	6	3	5
5	3	4	6	8	1	2	7	9
7	5	6	1	4	2	9	8	3
4	8	1	9	3	5	7	2	6
3	2	9	8	6	7	1	5	4

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲠᲢᲘ

2	1	6	9	7	8	5	4	3
5	9	4	2	3	6	1	8	7
8	3	7	5	1	4	6	2	9
4	5	3	1	8	2	9	7	6
7	6	8	4	9	3	2	5	1
1	2	9	7	6	5	4	3	8
9	8	5	3	4	1	7	6	2
6	7	2	8	5	9	3	1	4
3	4	1	6	2	7	8	9	5

მე-10 გვერდი: 1. კომპლიმენტი; 2. არმანიაკი; 3. კულექსი; 4. მამა; 5. ლენდლი; 6. მძიმე; 7. რევერანსი; 8. აპლოდისმენტი; 9. იუნონა; 10. კლიო; 11. ფლემინგი; 12. ეტრუსკები; 13. იბიცა; 14. ტარა; 15. ვალენსია; 16. ირი; 17. იკებანა; 18. აბაჟური; 19. ექო; 20. ბეკარი; 21. სტაბია; 22. ეტლი; 23. როდინი; 24. იტრია; 25. ჩიჩია; 26. ნესი; 27. ოვალი; 28. ჟაბო; 29. უნცია; 30. ოგიგია; 31. ჩინარი; 32. ჩიპოლინო; 33. მესხი; 34. სია; 35. იმაგო; 36. პეპინო; 37. ელვა; 38. რუნა; 39. ესავი; 40. პკე; 41. ონაგრი; 42. მიულერი; 43. სტელაჟი; 44. სტოა; 45. ენცო; 46. „პინტა“; 47. აუგი; 48. ესე; 49. ყბა; 50. ენი; 51. მარტინი; 52. აკა; 53. ოკა; 54. დო; 55. გო; 56. ძნა; 57. მიოპია; 58. ადამ; 59. ოპრა; 60. რა; 61. ავი; 62. ადონაი; 63. ოქტავა; 64. აკაჟუ.

მე-12 გვერდი: 1. ჰიპოკრატე; 2. ბოჰემა; 3. ჰიპოპოტამი; 4. პათეტიკა; 5. კიაზო; 6. ბარათაშვილი; 7. ჰეკატომბე; 8. მოპედი; 9. აპათია; 10. ანეტო; 11. იდიში; 12. როკაპი; 13. ილიონი; 14. ატლასი; 15. პატიო; 16. სტეკი; 17. დინო; 18. თეტიდა; 19. შუმი; 20. ტილო; 21. ატაშე; 22. ბოკა; 23. სპლიყვი; 24. ომი; 25. ვალსი; 26. წნორი; 27. ნესი; 28. აფთარი; 29. ინკოგნიტო; 30. გნიასი; 31. კირილიცა; 32. ვენსან კასელი; 33. პლანშე; 34. ფენი; 35. ნაკიანი; 36. იტი; 37. ტუხტი; 38. მიქსერი; 39. აირანი; 40. ალილო; 41. კალორია; 42. ნო; 43. წყალი; 44. ფხა; 45. ლიდერი; 46. იქა; 47. დალილა; 48. ვია; 49. ნიაგარა; 50. აფთიაქი; 51. ათოსი; 52. ედრიან; 53. ფოიე; 54. გიდელი; 55. გელათი; 56. იუკო; 57. „ხანუმა“; 58. უნა; 59. მიგრაცია; 60. ხნული; 61. იაგანი; 62. მირონი; 63. იეტი; 64. ნასკა; 65. მეტ; 66. ნემო; 67. კიუი; 68. იურე; 69. აკა; 70. ანათემა; 71. ლორი; 72. ლოლუა; 73. აგა; 74. კამეა; 75. რუ; 76. სან; 77. გრიგი; 78. იკიტოსი; 79. აგორა; 80. რუი; 81. ინ; 82. ირაო.



1.საეკლესიო კრებული, რომელშიც აღწერილია ქრისტიანობისთვის წამებულთა ცხოვრება
2. ზამთრის X ოლიმპიადის მას-პინძელი ქალაქი საფრანგეთში
3. ქართული ტელეარხი
4.მიუნჰაუზენის ლიტერატ. „მამა“
5. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
6.ღრძილის ლორწოვანი გარსის ანთება
7. კვაზიმოდოს სატრფო
8. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში
9. ლორდის მეუღლე ინგლისში
10. ექვსი მუსიკოსისგნ შედგენილი ანსამბლი
11. მანჩესტერ იუნ. კაპიტანი ... ვიდიჩი
12. ძველი რომის იმპერტორთა ტიტული
13. ხარაზის იარაღი
14. შურისძიების ქალღმერთი ბერძ.მით.
15. მთის ნიმფა
16. ნაპოლეონის ჟოზეფინის გვარი
17. კაკო დევდარიანის მეტსახელი
18.ლუწის საპირისპირო სიტყვა
19. ფრანგული ყურძნის ჯიშის
20. ისლანდიელი მომღერალი ქალი
21. ხურდა ფული შვედეთში
22. მდინარე თერგის შენაკადი
23. ჟნოსვის უქონლობა
24. პატარა რესტორანი
25.ოთახის დეკორატიული ყავილი
26. მუხის ნაყოფი
27. გეომეტრიული ფიგურა
28. ქალაქი გარე კახეთში
29. ოდისევსის მშობლიური კუნძული
30. ღმერთთა დედა ვედიზმში
31. რუსი პოეტი-დეკაბრისტი
32.ამერიკ. მომღერალი და მსახიობი
33. ჩრდ. კორეის ბელადი კიმ ჩენ...
34. ისრაელის მეორე მეფე
35.გლადიატორთა საბრძოლო მოედანი
36. კაბარეს „მთავარი“ ცეკვა
37. იტალიელი კინორეჟისორი
38. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
39. ხელოვნების ან მეცნიერების გამორჩენილი მოღვაწე
40.კოსმეტ. ფირმა „...-ფაქტორი“
41. ძვ. ეგვიპტელთა ღვთაებრივი ხარი
42. ძველი ბერძენი
43.მუსიკ. გამის III ნოტი
44. საკონდიტრო ნაწარმი
45. მზის საგალობელი რაჭაში
46. „ამაოების ბაზრის“ ავტორი
47. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
48. ტყეებისა და ჭალების მფარველი ღმერთი ძველ საბერძნეთში
49. ცეცხლგამძლე კარადა
50. მსახიობი ... პაჩინო
51. ყურძნის მცენარე
52. ისლანდიის დედაქალაქი
53.წილი საერთო საქმეში
54. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
55. პალმის ერთ-ერთი ჯიში
56. დედამიწის ზედაპირის შემსწავლელი მეცნიერება
57. მომღერალი ... სტეფანი
58. ტოკიოს ძველი სახელწოდება
59. სახოტბო ლექსი

სამსახურიდან დიდი ულვაშის გამო დაითხოვეს

ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო, რომელიც დიდი ულვაშის გამო მოქალაქის სამსახურიდან გათავისუფლებას ეხება. ცოტა ხნის წინ ავიაკომპანია „ინდიან ეარლაინზმა“ თანამშრომელი, ჯოინათ ვიკტორ დი მხოლოდ იმის გამო დაითხოვა, რომ უარი თქვა ულვაშის შეჭრაზე. მამაკაცმა კომპანიას სასამართლოში უჩივლა. ვიკტორ დი 40 წლის განმავლობაში ავიაკომპანიაში სტიუარდად მუშაობდა, ამაყობს თავისი დიდი, შავი ულვაშით და „ულვაშიანთა საერთაშორისო კლუბის“ წევრიცაა. სწორედ ამ კლუბმა დაუჭირა მხარი დის, რომ საკუთარი უფლებები დაეცვა. უზენაესი სასამართლოს წევრები გაოცებულნი არიან იმით, რომ ასეთი პრეცედენტი მოხდა თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყანაში. საქმე ისაა, რომ ავიაკომპანიამ 1998 წლიდან გაამკაცრა მოთხოვნები თვითმფრინავის ეკიპაჟის მიმართ და ყველა მამაკაცს, მათ შორის სიქჰებსაც, გაპარსვა დაევალა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იაპონელებს უზარმაზარი ნაყინის დაგემოვნებას სთავაზობენ

იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში, პატარა კაფეში სახელწოდებით Olympic, პარფე-ნაყინის უზარმაზარ ულუფას, 50 სმ-დან ერთ მეტრამდე, ყიდიან. ყველაზე დიდი ზომის პარფეს „ნაგასაკის ოცნების კოშკს“ (120 სანტიმეტრი) უწოდებენ. ის ყველა სახეობის ტკბილეულისგან შედგება: უბრალოდ ნაყინი, ნაყინის კონუსები, შოკოლადის ნამცხვარი, შარბათი, რბილი ნაყინი, ხილი, „აბრეშუმის“ ნამცხვარი, ჟელე ყავის გემოთი, ათქვეფილი ნაღები, კორნფლექსი და ჩიზქეიქიც კი. ყველა ეს კომპონენტი ნაყინისთვის განკუთვნილ დიდ ჭიქაშია მოთავსებული და მორთულია ოლიმპიური რგოლებით, კლიენტებს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების შესახებ რომ შეახსენონ. დესერტს გიგანტური კოვზიც მოყვება, ერთ ჯერზე რომ შეიგრძნოს ადამიანმა ნაყინის გემო.

საშქოლ ლოცვაზე ცვლიან

ლოცვის ძალა — მხოლოდ ესაა საჭირო, ერთ-ერთ ხორვატიულ კაფეში რომ დაისვენოთ. ქალაქ ზაგრებში ცოტა ხნის წინ გახსნილ კაფე „ჟედროში“ სასმელისთვის ფულის ნაცვლად ლოცვის წარმოთქმას ითხოვენ. ყოველი სასმელი ლოცვების რაოდენობითაა შეფასებული. მაგალითად, ყველაზე ძვირი „კოკა-კოლა“ ღირს — მისთვის ღვთისმშობლის ლოცვა ხუთჯერ უნდა წარმოთქვათ, კაპუჩინოსთვის კი ოთხჯერ „მამაო ჩვენო“ დაგჭირდებათ. კაფე, სადაც საერთოდ არ არის ალკოჰოლური სასმელი, ადგილობრივი მრევლის მიერ ფინანსდება. თავიდან ხუთი მაგიდით დავიწყეთ, მაგრამ ახლა უკვე იმდენი ადამიანი მოდის, 20 მაგიდაც აღარ გვყოფნის, — ამბობს ამ უჩვეულო დაწესებულების ერთ-ერთი მმართველი.

სუდოკუ

ადვილი

	7	6	1					
	5			2	7	9		
3				4		5		2
			9					5
1	4			3			9	7
9					8			
7		2		8				9
		3	2	6			8	
					9	3	2	

სტანდარტი

4		2		5				9
				8		7		
9			2				3	8
5		3			8			
				7				
			5			2		1
8	5				9			7
		7		1				
6				2		4		5

რთული

			5	1			8	
4						6	2	
	8				6	5		3
		4		3				5
	1		6		2		3	
7				4		2		
8		2	1				5	
	4	1						9
	7			6	3			

ექსპერტი

			2			3	6	
5			1	6				7
	7					8	1	4
	2							6
9	6		4		3		8	2
7							3	
3	9	5					4	
6				4	1			3
	4	7			9			

უძილობა გენებზე მოქმედებს

მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში არასაკმარისი ძილი ადამიანის ასობით გენისა და უჯრედების ცვლილებას იწვევს, რაც ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედებს, ეს უკანასკნელი კი ჩვენს მოტივაციასა და აქტიურობას განსაზღვრავს. ბოლო პერიოდში ძილის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ორი ახალი კვლევა ჩატარდა. ბრიტანელი მეცნიერები ძილის რეგენერაციული (აღმდგენი) ეფექტის კვლევით დაკავდნენ, თუბინგენის უნივერსიტეტის მკვლევართა გუნდი კი მეხსიერების ფორმირებაში ძილის მნიშვნელობას სწავლობდა. ძილი საჭიროა ზრდის, განვითარების, ნივთიერებათა ცვლისა და იმუნური სისტემისთვის. ის ეხმარება ადამიანს ნასწავლის გადამუშავებაში და უკვე არსებულ ცოდნასთან დაკავშირებაში. ორივე კვლევის შედეგი ამტკიცებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ძილის ნაკლებობა ასობით გენზე მოქმედებს, რომლებიც უშუალო კავშირშია იმუნურ სისტემასთან, ანთებით პროცესებსა და სტრესულ რეაქციებთან. ეს კვლევა პირველია, რომელმაც ამომწურავად შეისწავლა, რამდენ გენზე ახდენს გავლენას ძილის ქრონიკული ნაკლებობა. სწავლულების განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში მუდმივად გამოუძინებლობა 711 გენზე მოქმედებს, რაც ორგანიზმში არსებული 23 ათასამდე გენის 3,1%-ია.

სიგარეტი ზურგის ტკივილს იწვევს

ამერიკის ქირურგიისა და ორთოპედიის აკადემიის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მწეველებს ხშირად აწუხებთ ქრონიკული ტკივილი ხერხემლის არეში — ეს ფაქტი 7 ათასზე მეტი პაციენტის გამოკვლევის შედეგმა დაადასტურა. ზურგის ტკივილის ძირითად მიზეზად მედიკოსები ოსტეოქონდროზსა და ართროზს უკავშირებენ. კვლევებისას მწეველები აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე ხშირად ზურგის არეში ტკივილს უჩიოდნენ. ხოლო ვინც ამ გამოკვლევისას სიგარეტს თავი დაანება, ამ მხრივ თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, თუმცა მკვლევარები ამ მოვლენის მექანიზმს ვერ ხსნიან. აქედან გამომდინარე, მოწევისთვის თავის დანებებას პირველ რიგში იმ ადამიანებს ურჩევენ, ვისაც ზურგის არეში ტრავმა ან ხერხემლის დაავადება აწუხებს.

სიმსივნის დამარცხებაში ბოლოკი დაგეხმარებათ

დიეტოლოგები გვირჩევენ, გაზაფხულიზაფხულის რაციონში აუცილებლად ჩავრთოთ ბოლოკი, რადგან ის სუპერპროდუქტია. ბოლოკი ყველაზე ნოყიერი ზაფხულშია, თუმცა მასში ძალიან ცოტა კალორიაა. ეს ბოსტნეული დაგეხმარებათ ხველების დროს, რომელიც გაციებას ახლავს, ასევე ბოლოკი ააქტიურებს იმუნიტეტს. ფიტოქიმიური ნაერთები, რომელსაც ბოსტნეული შეიცავს, ანტისიმსივნური თვისებებით გამოირჩევა. მასში ბევრი C-ვიტამინი და ის ნივთიერებებია, რომელიც წნევას აქვეითებს. რადგან ბოლოკი უჯრედისის დიდი შემცველობით გამოირჩევა, შეუცვლელი პროდუქტია დიაბეტიანებისთვის. სხვათა შორის, ეს ბოსტნეული კოსმეტიკურ საშუალებადაც შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი წვრილად დაჭრილს ან გახეხილს სახეზე ნიღბად დავიდებთ. ასეთი ნიღაბი, C-ვიტამინის წყალობით, კანს აახალგაზრდავებს და ელასტიურს ხდის.

პომიდორი ინსულტისგან გვიცავს

ექიმი-კარდიოლოგები პაციენტებს, რომელთაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ, საკვებში პომიდვრის რეგულარულად მოხმარებას ურჩევენ. ტომატი მდიდარია ლიკოპინითა და C-ვიტამინით, რაც ძლიერი ნატურალური ანტიოქსიდანტებია. მრავალწლიანი გამოკვლევის შედეგების გაანალიზებისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სისხლში ლიკოპინის მაღალი კონცენტრაცია ინსულტის რისკს ამცირებს. ჩატარებულ გამოკვლევებში 1000-ზე მეტი მამაკაცი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 46- 65 წელი იყო. 12 წლის განმავლობაში ინსულტი 67-მა მამაკაცმა გადაიტანა, ამასთან, უმრავლესობა იმ ჯგუფიდან იყო, რომელთა წევრებს სისხლში ლიკოპინის დაბალი დონე ჰქონდათ. სწავლულები იმასაც ასკვნიან, რომ ხილსა და ბოსტნეულზე დაფუძნებული დიეტა უშუალოდ უკავშირდება ინსულტის განვითარების რისკის შემცირებას.

ვაქცინა კარიესის წინააღმდეგ

ჩინეთის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ შეძლეს კარიესის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინის შექმნა, რომელიც დნმ-სა და ორი სხვადასხვა ბაქტერიის ცილაზეა დაფუძნებული. ცნობილია, რომ კარიესის მიზეზი ბაქტერიებია — ისინი გამოყოფს ნივთიერებებს, რაც კბილის ემალს აზიანებს. მეცნიერებს დაებადათ იდეა, რომ ორგანიზმის იმუნიტეტი კარიესის წინააღმდეგ ვაქცინაციის მეშვეობით გააააქტიურონ (ისევე, როგორც ეს ხდება სხვა, ჩვეულებრივი ინფექციების დროს). საამისოდ, დნმ-ვაქცინა შეარჩიეს — ორგანიზმში შეჰყავთ არა პათოგენური მიკროორგანიზმის ცილა, არამედ მისი დნმ. ასეთი ვაქცინა უფრო იაფად და უფრო გამძლედ მიიჩნევა, თუმცა ყოველთვის არ ავლენს მაღალ იმუნოგენურობას. მოკლედ, იმუნიტეტი დნმ-ვაქცინას არც ისე მონდომებით „ემორჩილება“, თუმცა სწავლულებმა ეს პრობლემაც მოაგვარეს სალმონელას ცილის მეშვეობით და ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა კარგი შედეგი აჩვენა. აცრილი მღრღნელების კბილები გაცილებით უკეთ იყო დაცული კარიესისგან. თუკი ეს კლინიკურ ცდებზეც დადასტურდება, მომავალში ვაქცინა საკმაოდ პოპულარული გახდება.

1.თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა
2. პატარა კენგურუ
3. „ოგიგა უიშვილის“ ავტორი
4.მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი
5. აცტეკთა იმპერიის დედაქალაქი
6. ელექ-ტროდენზე მომუშავე ლოკომოტივი
7. იგივეა, რაც ჟარგონი
8. კალათ-ბურთელი ... საბონისი
9. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
10. სისხლნაკ-ლებობა
11. დიდი ესპანელი არქ-იტექტორი
12. ფუტკრის შხამი
13. ექსკურსია-მძღოლი
14. მუქი წერტილი ადამიანის კანზე
15. ქალაქი სამეგრელოში
16. ჭკუის სწავლება, დარიგება
17. საფეხბურ-თო კლუბი „... ვერონა“
18.მუზეუმი, სადაც „ვეროკონდა“ ინახება
19.თვითმფრი-ნავის კიბე
20.შხამიანი ბუჩქი
21. ჩინელი გიგანტი ... მინი
22. „მან-ჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი
23. ძველე-ბური საბალო ცეკვა
24. ქალაქი გერმანიაში
25. ბანქოს კომბინაცია პოკერში
26.ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება
27. ევროვიზია 2014-ის ოდიოზური გამარჯვებული
28. ბგერის ანარეკლი
29. წყლის გრაციოზული ფრინველი
30. მწერალი ... ჩეხოვი
31.ქართული ხალხური შრომის სიმღერა
32. შალაში-ნის სახეობა
33. საფე-ვილე ყუთი წისქვილში
34. რაიმე საბუთის მეორე პირი
35. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
36. ისრის წვერი
37. მხატვარ მატისის სახელი
38. ინდიელთა ტომი
39. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა
40. ტკბილი კარტოფილი
41. ცნობილი სერბი პოეტი
42. აგამემნო-ნის და მენე-ლაეს მამა
43. ჭკუა-სუსტობის უმაღლესი ხარისხი
44. აღ-მოსავლური ორთაბრძო-ლის სახეობა
45. საწერი მაგიდის სახე-ობა
46. პორ-ტუგალიის დედაქალაქი
47. ქალთევ-ზას სახელი
48. ვოლტერ-ის ნამდვილი გვარი
49. კა-მერუნელი ფეხბურთელი სამუელ ...
50. ესპანელი ფეხბურთელი ... პუიოლი
51. ვისიმე ნამ-დვილი სახელი, ფსევდონიმად გამოყენებული
52. ტურა ქილილას მეწყვილე
53. მდინარე საფრანგეთში
54. ხურდა ფული სკან-დინავიის ქვეყნებში
55. დიდი უნგრელი კომპოზიტორი
56.კაკლის საბერტყი გრძელი ჯოხი
57. ხერხემ-ლის ძვალი
58. აშშ-ის კუნძულოვანი შტატი
59. XX ს-ის ფრანგი დრა-მატურგი
60.გიორგი შენგელაიას ფილმი „... და გოგია“
61. დიდი საჯარო წარმატება
62.ევროპული ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში
63. ჰოლივუ-დის ლეგენდა ვივიენ ...
64.ცხოველთა სამყარო
65.ლაბორატ. ჭურჭელი
66.ნიზამის ხუთი პოემის საერთო სახ-ელი
67.ბრინჯაოს სახელწო-დება ძველ ქართულში
68. ნაპო-ლეონის მშობლიური ქალაქი
69.ძაღლის სადარაჯო ად-გილი ცხვრის ფარასთან
70. მეწ-ისქვილე „ოთარაანთ ქვრივში“
71. ბრი-ტანელი ჩოგბურთელი ენდი ...
72. ნაპოლეო-ნის ერთ-ერთი მარშალი
73. ამაღლებ-ული ადგილი დედამიწაზე
74. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში
75. მტა-ცებელი ფრინველი
76. დიონისეს აღმზრდელი
77. ერ-თეულოვანი ვექტორი
78. დიზაი-ნერი ... კარდენი
79.საკუთა-რი თავის რწმენა, სითამამე
80. ფინი-კიელთა ნაყოფიერების ღვთაება
81. შაქრის ლერწმის საჭ-რელი დანა
82.ისრაელის წარმოების წყლის გამაცხ-ელებელი
83. ჯუჯა კამეი
84.იტალიელი მომღერალი ... რამაზოტი
85. რაიმე საკითხთან და-კავშ. საბუთების ერთობლიობა
86. მუხრან მაჭავარიანის ლექსი

ქალი ნახევარი ტვინით

ჩინელი მედიკოსები გაოცებას ვერ მალავდნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ გამოსაკვლევად მისულ ქალბატონს მხოლოდ ნახევარი ტვინი ჰქონდა. 39 წლის განმავლობაში ჩინელი მანდილოსანი ჩვეულებრივად ცხოვრობდა, ექიმებს კი მხოლოდ მაშინ მიმართა, როცა სისუსტე იგრძნო. სკანირებისას საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდით — ქალს ტვინის მარცხენა ჰემისფეროში რუხი ნივთიერება საერთოდ არ ჰქონდა, — ამბობენ ჩინელი ნევროლოგები, — მიიჩნევა, რომ მარცხენა ნახევარსფერო ადამიანის მეტყველებაზეა პასუხისმგებელი, თუმცა პაციენტს კომუნიკაციის პრობლემა არასოდეს ჰქონია. როგორც „ცალტვინა“ ქალის დედა ამბობს, მისი ქალიშვილი აბსოლუტურად ნორმალურად ცხოვრობს. სკოლა წარჩინებით დაამთავრა და ზოგადად, მშვენიერი მეხსიერება აქვს.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.